სახელმწიფოს ანატომია

მიურეი ნ. როთბარდი

სახელმწიფოს ანატომია

მიურეი ნ. როთბარდი

ქართული თარგმანი: ანინა ტეფნაძე
მეცნიერული რედაქტორები: ალექსანდრე რაქვიაშვილი, ბორის სოლომონია
ლიტერატურული რედაქტორი: დიანა ყასუმაშვილი

© 2009 by the Ludwig von Mises Institute and published under the Creative Commons Attribution License 3.0. http://creativecommons.org/licenses/by/3.0/

ISBN: 978-9941-8-4596-3

წიგნი ქართულად ითარგმნა თბილისის ჰაიეკის ინსტიტუტის ინიციატივით.

სარჩევი

რა არ არის სახელმწიფო 4

რა არის სახელმწიფო...8

როგორ ინახავს სახელმწიფო თავს 13

როგორ სცდება სახელმწიფო საკუთარ საზღვრებს 26

რისი ეშინია სახელმწიფოს...41

როგორი ურთიერთობა აქვთ სახელმწიფოებს ერთმანეთთან 44

ისტორია, როგორც მუდმივი შეჯიბრი სახელმწიფო და სოციალურ ძალაუფლებას შორის 51

რა არ არის სახელმწიფო[1]

სახელმწიფო საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის აუცილებელ ინსტიტუტად თითქმის უნივერსალურადაა მიჩნეული. ზოგიერთი თეორეტიკოსი სახელმწიფოს საზოგადოების აპოთეოზს უწოდებს, ზოგიერთი მას სოციალური მიზნების მისაღწევად სასურველ, თუმცა ხშირად არაეფექტიან ორგანიზაციად მიიჩნევს; მაგრამ ადამიანთა უმრავლესობისთვის ის კაცობრიობის მიზნების მისაღწევად აუცილებელი ინსტრუმენტია, რომელიც „კერძო სექტორის" წინააღმდეგ არის მიმართული და, ხშირად, მასთან რესურსებისთვის ბრძოლაში უპირატესობით უნდა სარგებლობდეს. დემოკრატიის აღზევებასთან ერთად, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ტოლობის ნიშანი კიდევ უფრო მკაფიო გახდა. ახლა აღარაა უჩვეულო ისეთი, საღ აზრს სრულიად მოკლებული სენტიმენტების მოსმენა, როგორიცაა: „ჩვენ [ხალხი] ვართ მთავრობა". ხელსაყრელი კოლექტიური ტერმინი „ჩვენ" ერთგვარი პოლიტიკური კამუფლაჟია, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების რეალობას შეგიძლია გადააფარო. თუ „ჩვენ ვართ მთავრობა", მაშინ ყველაფერი, რასაც მთავრობა ადამიანის მიმართ ახორციელებს, არა მხოლოდ სამართლიანი და არატირა-ნულია, არამედ ინდივიდუალური გადმოსახედიდან „ნებაყოფლობითიც". თუ მთავრობა დიდ ვალს აიღებს,

[1] თავდაპირველად დაიბეჭდა წიგნში Murray N. Rothbard, Egalitarianism as a Revolt Against Nature and Other Essays, Mises Institute, 2000 [1974], pp. 55–88.

რომელიც ერთი ჯგუფის დაბეგვრის ხარჯზე, მეორის სასარგებლოდ უნდა დაიფაროს, ამ ტვირთის რეალობა შეიძლება შეინიღბოს ფრაზაში „ჩვენივე თავის გვმართებს“. თუ სახელმწიფო კაცს ჯარში იწვევს ან მას დისიდენტური მოსაზრებების გამო ციხეში სვამს, მაშინ მან ეს „თავის თავს უნდა დააბრალოს“ და, შესაბამისად, არასასურველ შედეგებზეც ვერ გამოთქვამს პრეტენზიას. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, ნაცისტური ხელისუფლების მიერ დახოცილი ებრაელები სინამდვილეში არავის დაუხოცავს, მათ უბრალოდ „თავი მოიკლეს“, რადგან თავად იყვნენ ხელისუფლება (სხვათა შორის, დემოკრატიულად არჩეული), ამიტომ ყველაფერი, რაც მათ მთავრობამ უქნა, მათ მიერვე იყო ნებადართული. შეიძლება ეს არგუმენტი ზედმეტად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი ადამიანი იზიარებს ამ მოსაზრებას, გარკვეულ დონეზე მაინც.

შესაბამისად, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ „ჩვენ“ *არ ვართ* ხელისუფლება, ხელისუფლება *არ არის* დაკომპლექტებული „ჩვენით“. ნებისმიერი საღი აზრის დონეზე, ხელისუფლება *არ* „წარმოადგენს“ უმრავლესობას[2]. თუმცა, რომც გამოხატავდეს, მაგალითად, ადამიანების 70%-მა დანარჩენი 30%-ის დახოცვა რომ განიზრახოს, ეს მაინც მკვლელობა იქნება და არა ნებაყოფლობითი თვითმკვლელობა, რომელსაც მოკლული

---

[2] ამ თავში, ცხადია, ვერ შევეხებით „დემოკრატიის“ უამრავ პრობლემასა და ცრურწმენას. მხოლოდ იმის თქმაც საკმარისია, რომ ინდივიდის რეალური აგენტი ან „წარმომადგენელი“ ყოველთვის ინდივიდის ბრძანებებს ასრულებს, მისი *დათხოვნა* ყოველთვის შეიძლება და ის ინდივიდის ინტერესების, სურვილებისა თუ პრინციპის საწინააღმდეგოდ ვერ იმოქმედებს. ცხადია, დემოკრატიის პირობებში ტიპური „წარმომადგენელი“ ასეთი აგენტის თვისებებს ვერ შეითავსებს, ეს კი ერთადერთი ფორმაა, რომელიც ლიბერტარიანული საზოგადოებისათვის მისაღებია.

უმცირესობა დათანხმდა.[3] ვერავითარი ორგანიცისტური მეტაფორა თუ არარელევანტური ბანალურობა, რომ „ჩვენ ყველა ერთი დიდი ორგანიზმის ნაწილები ვართ", ამ საბაზისო ფაქტს ვერ მიჩქმალავს.

თუ სახელმწიფო არც „ჩვენ" ვართ და არც „ადამიანების ოჯახია", რომელიც ერთობლივად ჭრის საერთო პრობლემებს, თუ არც თემის და არც დამფუძნებელი მამების შეკრებაა, მაშინ რა არის სახელმწიფო? მოკლედ რომ გითხრათ, სახელმწიფო არის საზოგადოებაში არსებული მოწყობა, რომელიც მოცემულ ტერიტორიულ ერთეულზე ძალადობისა და ძალის გამოყენებაზე მონოპოლიის ფლობისკენ მიილტვის. კონკრეტულად კი, ეს არის საზოგადოებაში ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც შემოსავალს არა ნებაყოფლობითი კონტრიბუციით ან გაწეული საქმის სანაცვლოდ იღებს, არამედ იძულებით. მისგან განსხვავებით, სხვა ინდივიდები თუ დაწესებულებები ფულს სერვისებისა და საქონლის წარმოებით, შემდეგ კი ამ საქონლის მშვიდობიანი და ნებაყოფლობითი გაყიდვით გამოიმუშავებენ. სახელმწიფო კი თავის შემოსავალს ძალის გამოყენებით უზრუნველყოფს, რაც ციხეში ჩასმის მუქარასა

[3] სოციალური დემოკრატები ხშირად აღნიშნავენ, რომ დემოკრატია — მმართველობის არჩევა უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით — ლოგიკურად გულისხმობს იმას, რომ უმცირესობას გარკვეული თავისუფლებები უნდა შეუნარჩუნდეს, რადგან ერთხელაც უმცირესობა შეიძლება უმრავლესობად იქცეს. სხვა ნაკლოვანებები რომ უგულებელვყოთ, ეს არგუმენტი არ ითვალისწინებს შემთხვევას, როცა უმცირესობა უმრავლესობად ვერ იქცევა, რადგან, მაგალითად, უმცირესობა უმრავლესობისაგან განსხვავებულ რასობრივ ან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს.

და ხიშტს გულისხმობს.[4] მას შემდეგ, რაც საკუთარ ძალაუფლებასა და ძალადობას შემოსავლის გასანაღდებლად გამოიყენებს, სახელმწიფო ინდივიდების რეგულირებასა და მათთვის ქცევის წესების კარნახს იწყებს. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ მსოფლიო ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოზე დაკვირვება ამ თეზისის დასამტკიცებლად საკმარისი უნდა იყოს, თუმცა მითების ბურუსი უკვე იმდენი წელია სახელმწიფოს აქტივობას მალავს, რომ ეს ყველაფერი დამატებით განმარტებებს საჭიროებს.

[4] „ანტაგონიზმის ტალღა კერძო და საჯარო სფეროებს შორის იმ ფაქტით მძაფრდება, რომ… სახელმწიფო ოდითგანვე კერძო სექტორში გამომუშავებული და ამავე სფეროსთვის განკუთვნილი შემოსავლით ცხოვრობს — ფულით, რომელიც არსებობის მიზნებს პოლიტიკური ძალის გამოყენებით დააშორეს. თეორია, რომელიც გადასახადებს კლუბის საწევროს ან სერვისის შეძენას ადარებს, მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ რამდენად დაშორებულია სოციალური მეცნიერების ეს ნაწილი გონებაზე დაფუძნებულ კრიტიკულ სამეცნიერო პრაქტიკას“. (Joseph A. Schumpeter, Capitalism, Socialism, and Democracy, New York: Harper and Bros., 1942, p. 198) იხილეთ ასევე Murray N. Rothbard, The Fallacy of the „Public Sector“, New Individualist Review, Summer, 1961, p. 3ff.

რა არის სახელმწიფო

ადამიანი შიშველი მოდის ამ სამყაროში და მას საკუთარი გონების გამოყენება უწევს ბუნების მიერ ბოძებული რესურსების მისაღებად, ამ რესურსებისთვის სხვადასხვა ფორმის თუ ადგილის მისაჩენად, ან სახის შესაცვლელად (მაგალითად, „კაპიტალში“ დასაბანდებლად), საბოლოოდ კი საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. რესურსების ტრანსფორმაციისთვის ერთადერთი გზა საკუთარი გონებისა და ენერგიის გამოყენება („წარმოება“), შემდეგ კი — მიღებული პროდუქტების სხვების მიერ ნაწარმოებ პროდუქტებში გაცვლაა. კაცობრიობამ აღმოაჩინა, რომ ამ ნებაყოფლობითი, ერთობლივი გაცვლის შედეგად, მონაწილე პირების პროდუქტიულობა და, შესაბამისად, ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად შეიძლება გაუმჯობესდეს.

ერთადერთი „ბუნებრივი“ გზა, რომ ადამიანი გადარჩეს და ქონება დააგროვოს, წარმოება-გაცვლის პროცესში ინტელექტუალური უნარებისა და ენერგიის ჩადებაა. ამისთვის ის ჯერ ბუნებრივ რესურსებს პოულობს, შემდეგ კი სახეს უცვლის მათ (როგორც ლოკი იტყოდა, „მათთვის საკუთარი შრომის შერევით“), რათა ინდივიდუალურ საკუთრებად აქციოს, შემდეგ კი ამ საკუთრებას სხვების მიერ ამავე გზით მოპოვებულ ნივთებში ცვლის.

სოციალური გეზი, რომელიც ჩვენი ბუნებრივი მოთხოვნილებებით არის ნაკარნახევი, ამავე დროს

„საკუთრების უფლების“ და ამ უფლების „თავისუფალ ბაზარზე“ გაცვლის ან ჩუქების გეზიცაა. სავარაუდოდ, სწორედ ამ გზით ისწავლა კაცობრიობამ შეზღუდული რესურსებისთვის „ჯუნგლების“ მეთოდებით ბრძოლის თავიდან არიდება: A-ს შეუძლია საკუთარ მიზანს არა B-ს ხარჯზე, არამედ მისი დახმარებით მიაღწიოს და რესურსები ჰარმონიულად, მშვიდობიანად და გადაცვლის გზით გაამრავლოს.

დიდმა გერმანელმა სოციოლოგმა ფრანც ოპენჰაიმერმა ქონების დაგროვების ორი ურთიერთგამომრიცხავი გზა გამოყო: პირველი, ზემოხსენებული წარმოება-გაცვლაა, რომელსაც იგი „ეკონომიკურ მეთოდს“ უწოდებს. მეორე გზა უფრო მარტივია და პროდუქტიულობას არ საჭიროებს — აქ იგულისხმება სხვისი ქონებისა თუ სერვისების იძულების ან ძალის გამოყენებით მითვისება: მაგალითად, ცალმხრივი კონფისკაცია ან ქურდობა, რასაც ოპენჰაიმერი ქონებამდე მისასვლელ „პოლიტიკურ მეთოდს“ უწოდებს. ცხადი უნდა იყოს, რომ წარმოებისთვის გონების, ძალისა და ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება, კაცობრიობისთვის „ბუნებრივი“ გზაა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანების გადარჩენასა და კეთილდღეობას. ასეთივე თვალსაჩინოა ისიც, რომ იძულებითი, ექსპლუატაციური ბერკეტების გამოყენება ბუნების კანონს ეწინააღმდეგება: ის პარაზიტულია, რადგან წარმოებას კი არ მატებს რამეს, არამედ, პირიქით, აკლებს. „პოლიტიკური მეთოდი“ წარმოებას პარაზიტული, დესტრუქციული ინდივიდებისა და ჯგუფების ხელში აგდებს და ეს პროცესი არა მხოლოდ წარმოებული საქონლის რაოდენობას ამცირებს, არამედ მწარმოებლის მოტივაციასაც,

აწარმოოს თავისთვის საკმარისი რაოდენობის მიღმა კიდევ რაიმე. გრძელვადიან პერსპექტივაში ქურდი იმავე ტოტს ჭრის, რომელზეც ზის, და საკუთარ საარსებო წყაროებს ამცირებს ან სრულიად აქრობს. თუმცა, არა მხოლოდ. მოკლე ვადაშიც კი მტაცებელი ამ საქციელით საკუთარ ადამიანურ ბუნებას ეწინააღმდეგება.

ახლა უკვე შეგვიძლია უფრო ამომწურავად ვუპასუხოთ კითხვას: რა არის *სახელმწიფო*? სახელმწიფო, ოპენჰაიმერის თქმით, „პოლიტიკური მეთოდების ფორმირებაა“, ის კონკრეტულ ტერიტორიაზე მიტაცების პროცესების სისტემატიზაციას წარმოადგენს.[5]

კრიმინალი, როგორც წესი, გაფანტული და არაპროგნოზირებადია, პარაზიტიზმი კი — წარმავალი და ძალადობრივი: პარაზიტული დამოკიდებულების გაწყვეტა მსხვერპლების წინააღმდეგობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. სახელმწიფო პირადი საკუთრების მისატაცებლად ლეგალურ, მოწესრიგებულ, სისტემურ

[5] „არსებობს ორი ფუნდამენტურად განსხვავებული მეთოდი, რომელსაც საარსებო საშუალების საჭიროების მქონე ადამიანი საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს. ესენია მუშაობა და ძარცვა, ანუ საკუთარი შრომა და სხვების ნაშრომის ძალადობრივი მითვისება… გთავაზობთ, რომ მომავალ დისკუსიებში საკუთარი შრომით მიღებული პროდუქტების სხვათა პროდუქტებში ეკვივალენტურ გაცვლას „ეკონომიკური მეთოდი“, ხოლო სხვისი შრომის შედეგების ექსპროპრიაციას „პოლიტიკური მეთოდები“ ვუწოდოთ. სახელმწიფო „პოლიტიკური მეთოდების“ ორგანიზაციაა. შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფოს შექმნას ჯერ „ეკონომიკური მეთოდით“ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საკმარისი რაოდენობის ობიექტის წარმოება უსწრებდა წინ, რათა შემდეგ ეს ობიექტები ომის მსგავსი ძარცვით სხვებს მიეთვისებინათ.“ (Franz Oppenheimer, The State, New York: Vanguard Press, 1926, pp. 24 –27)

ჩარჩოს ქმნის, რითაც საზოგადოებაში არსებულ პარაზიტულ კასტას დაცულ, გარანტირებულ და „მშვიდობიან“ საარსებო წყაროს უქმნის.[6] რაკი მიტაცებას წარმოება ყოველთვის უნდა უსწრებდეს, შეგვიძლია თავისუფალი ბაზარი სახელმწიფოს წინამორბედად ჩავთვალოთ. სახელმწიფო „სოციალური კონტრაქტით“ არ შექმნილა, ის ყოველთვის დაპყრობასა და ექსპლუატაციაზე იყო დამყარებული. ამის კლასიკური პარადიგმა შემდეგნაირად გამოიყურება: გამარჯვებული ტომი დამარცხებული ტომის ძარცვისა და მკვლელობისგან პაუზას იღებს, რადგან აცნობიერებს, რომ ნადავლის მოპოვება შეიძლება უფრო გახანგრძლივდეს და გამარტივდეს, სიტუაცია კი — უფრო კომფორტული გახდეს, თუ დამარცხებულ ტომს ცხოვრებისა და წარმოების უფლებას მისცემს, თავად კი მმართველად დაუჯდება და ყოველწლიურად ხარკს გამოართმევს.[7]

---

[6] ალბერტ ჯეი ნოკმა დამაჯერებლად აღწერა, რომ „სახელმწიფო კრიმინალზე მონოპოლიას იჩემებს და ხშირადაც იყენებს... ის კრძალავს ინდივიდთა მკვლელობას, მაგრამ თავად კოლოსალურ მასშტაბზე აორგანიზებს მკვლელობებს. ის სჯის ქურდს, თუმცა თავად ყველაფერს იღებს, რაც კი მოესურვება, სულერთია, თავისი მოქალაქის იქნება თუ უცხო ადამიანის.“ (ციტირებულია შემდეგი ნაწარმოებიდან Jack Schwartzman, Albert Jay Nock — A Superfluous Man, Faith and Freedom, December, 1953, p. 11)

[7] „მაშინ რა არის სახელმწიფო, როგორც სოციალური კონცეპტი? სახელმწიფო, თავის ჩანასახში... სოციალური ინსტიტუციაა, რომელსაც ადამიანთა გამარჯვებული ჯგუფი დამარცხებულ ჯგუფს თავს ერთადერთი მიზნით ახვევს: რათა გამარჯვებულების მიერ დამარცხებულებზე მმართველობა დაარეგულიროს და შიდა ამბოხებისა თუ გარე თავდასხმებისგან თავი დაიცვას. ტელეოლოგიურად, ამ მმართველობას, განადგურებულების ეკონომიკური ექსპლუატაციის გარდა, სხვა მიზანი არ ამოძრავებს“. (Oppenheimer, The State, p. 15)

დე ჟუვენელი წერს: „სახელმწიფო თავისი არსით ბანდიტების მიერ შედარებით მცირე საზოგადოებებზე კონტროლის დამყარების შედეგია“. Bertrand de Jouvenel, On Power, New York: Viking Press, 1949, pp. 100–101

სახელმწიფოს დაბადების ერთ-ერთი გზა შეგვიძლია ასე გამოვსახოთ: „სამხრეთ რურიტანიის“ მთებში ბანდიტთა დაჯგუფება ტერიტორიაზე ფიზიკური კონტროლის მოპოვებას ახერხებს, მძარცველთა ლიდერი კი საკუთარ თავს „სამხრეთ რურიტანიის სუვერენული და დამოუკიდებელი მთავრობის მეფედ“ აცხადებს. თუ ის და მისი დამქაშები ძალის გამოყენებით საკუთარ მმართველობას საკმარისი ხნით შეინარჩუნებენ, ცოტა ხანში ახალი სახელმწიფო „ერების ოჯახს“ შეუერთდება, ბანდიტური დაჯგუფების ყოფილი ლიდერები კი ახალი სამეფოს კანონიერ მონარქებად მოგვევლინებიან.

როგორ ინახავს სახელმწიფო თავს

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ჩამოყალიბდება, მმართველი ჯგუფისა თუ კასტის დღის წესრიგში მთავარ საკითხად ძალაუფლების შენარჩუნება დგება.[8] მართალია, მთავრობის მთავარი modus operandi[9] ძალადობაა, ძირითადი და გრძელვადიანი პრობლემა მაინც იდეოლოგიურია. იმისთვის, რომ მართვა გააგრძელოს, ნებისმიერ მთავრობას (და არა მხოლოდ „დემოკრატიულ“ მთავრობას) უმრავლესობის მხარდაჭერა სჭირდება. უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი არაა, ეს მხარდაჭერა აქტიური ენთუზიაზმით იყოს გამოხატული. პასიური დანებება და არსებული მდგომარეობის ბუნების გარდაუვალ კანონად მიღებაც გამოდგება. თუმცა, ასეა თუ ისე, მხარდაჭერის რაღაც ფორმა აუცილებელია: სხვანაირად, უმცირესობაში მყოფ მმართველებს საზოგადოების უმრავლესობის აქტიური წინააღმდეგობა გადაწონიდა.

რადგან მტაცებლობა წარმოების შედეგებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ცალსახაა ისიც, რომ კლასი, რომლითაც

[8] „კასტასა“ (ჯგუფის, რომლის პრივილეგიები თუ ტვირთი ძალადობრივად მიღებულია ან თავსმოხვეულია სახელმწიფოსაგან) და „კლასს“ შორის მარქსისტული გაგების უმნიშვნელოვანეს განსხვავებასთან დაკავშირებით იხილეთ Ludwig von Mises, Theory and History, New Haven, Conn.: Yale University Press, 1957, pp. 112ff.

[9] ლათ. მოქმედების ხერხი

ხელისუფლებაა დაკომპლექტებული — სხვა საქმეების არმქონე ბიუროკრატია (და დიდებულები) — ქვეყანაში საკმაოდ შეზღუდულ უმცირესობას უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, ხელისუფლებას ყოველთვის შეუძლია, საზოგადოების სხვადასხვა მნიშვნელოვან ჯგუფებში მხარდამჭერები მოისყიდოს. შესაბამისად, ნებისმიერი მმართველი ჯგუფის მთავარი ამოცანა მოსახლეობის უმრავლესობაში აქტიური მხარდაჭერის ან „ხელჩაქნეული“ მიმღებლობის გამოწვევაა.[10,11]

ცხადია, მხარდაჭერის შენარჩუნების ერთი მეთოდი საერთო ეკონომიკური ინტერესების შექმნაა. შესაბამისად, მხოლოდ მეფე ვერ იქნება სათავეში. მას მიმდევრების მოცულობითი ჯგუფი უნდა ჰყავდეს, რომელიც მმართველობის მიერ მოტანილ სიკეთეებს გაინაწილებს. ასეთები არიან, მაგალითად, სახელმწიფო აპარატის თანამშრომლები, დიდგვაროვნები ან ბიუროკრატები.[12]

---

[10] ასეთი მიმღებლობა, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ რეჟიმი „ნებაყოფლობითი“ ხდება, რადგან უმრავლესობის მხარდაჭერისა და აღტაცების შემთხვევაშიც კი, ვერ ვიტყვით, რომ მხარდაჭერას ყველა ინდივიდი ერთხმად აცხადებს.

[11] ის, რომ ყველა მთავრობას, რაც არ უნდა „დიქტატორული“ იყოს, მსგავსი მხარდაჭერის განაღდება სჭირდება, ისეთ პოლიტიკურ თეორეტიკოსებს აქვთ დემონსტრირებული, როგორებიც არიან ეტიენ დე ლა ბოეტი, დევიდ ჰიუმი და ლუდვიგ ფონ მიზესი. შეადარეთ: David Hume, Of the First Principles of Government, in Essays, Literary, Moral and Political, London: Ward, Locke, and Taylor, n.d., p. 23; Étienne de la Boétie, Anti-Dictator, New York: Columbia University Press, 1942, pp. 8–9; Ludwig von Mises, Human Action, Auburn, Ala.: Mises Institute, 1998, pp. 188ff. უფრო ვრცლად სახელმწიფოს ანალიზში ბოეტის მიერ შეტანილი წვლილის შესახებ, იხილეთ Oscar Jaszi, John D. Lewis, Against the Tyrant, Glencoe, Ill.: The Free Press, 1957, pp. 55–57.

[12] „როცა კი მმართველი პირი დიქტატორი ხდება… ყველა, ვინც მწველი ამბიციითა თუ ექსტრაორდინალური სიხარბით არის გარყვნილი, მის გარშემო მხარდასაჭერად იკრიბება, რათა ნადავლის განაწილებისას თავადაც

ამ პირების მხარდაჭერა, ისევე, როგორც სუბსიდირებით და პრივილეგიებით ნაყიდი მორჩილება, უმრავლესობის თანხმობას მაინც არ ნიშნავს. იმისთვის, რომ ხალხმა „მიიღოს“ მთავრობა, რაც მმართველობის გასაგრძელებლად აუცილებელი პირობაა, იდეოლოგიამ უმრავლესობა უნდა დაარწმუნოს, რომ მთავრობა კარგია, ბრძენია ან, მინიმუმ — შეუცვლელი და სხვა რეალურ ალტერნატივებზე დამაჯერებლად უკეთესი. ხალხში იდეოლოგიის გავრცელება „ინტელექტუალების“ მთავარი სოციალური ამოცანაა. ადამიანები მასობრივად საკუთარ იდეებს არ აწარმოებენ და არც მათ დამოუკიდებელ გააზრებაში მონაწილეობენ. ისინი ინტელექტუალთა ფენის მიერ შექმნილ და გავრცელებულ იდეებს პასიურად მიჰყვებიან. შესაბამისად, ინტელექტუალები საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში აქტიურად არიან ჩართულნი და, რადგან შესაბამისი გზავნილების გავრცელება სახელმწიფოსაც სასიცოცხლოდ სჭირდება, ინტელექტუალებისა და მმართველების საუკუნოვანი ალიანსი ცხადზე ცხადი ხდება.

თვალსაჩინოა, რომ სახელმწიფოს ინტელექტუალები სჭირდება, მაგრამ ასეთივე მარტივად აღსაქმელი არაა, რაში სჭირდებათ ინტელექტუალებს სახელმწიფო. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავისუფალი ბაზრის პირობებში ინტელექტუალების საარსებო წყაროები ყოველთვის უზრუნველყოფილი არაა. შესაბამისად, ინტელექტუალს უწევს, თანამოქალაქეების ღირებულებებსა და გადაწყვეტილებებს

მიიღოს რამდენიმე ლუკმა. მათ სურთ, დიდი ტირანის ქვეშ მცირე ბელადები გახდნენ.“ (La Boétie, Anti-Dictator, pp. 43–44)

მოერგოს. მასების დამახასიათებელი ერთ-ერთი თვისება კი ისაა, რომ მათ, ზოგადად, ინტელექტუალური პროდუქტები არ აინტერესებთ. მეორე მხრივ, სახელმწიფო მზადაა, ინტელექტუალებს სახელმწიფო აპარატში დაცული ნავსაყუდელი შესთავაზოს, რაც გარანტირებულ შემოსავალსა და სოციალურ პრესტიჟს გულისხმობს. ინტელექტუალებს სახელმწიფოს წინაშე გაწეული სამსახური სათანადოდ უფასდებათ და ისინი მმართველი ჯგუფის წევრები ხდებიან.[13]

სახელმწიფოსა და ინტელექტუალებს შორის ალიანსის ერთ-ერთ თვალსაჩინო სიმბოლოს XIX საუკუნის გერმანიაში ვიპოვით, როცა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორებმა სურვილი გამოთქვეს, ჰოენცოლერნების დინასტიის „ინტელექტუალური მცველები“ გამხდარიყვნენ. შედარებით ახალი ისტორიიდან აღსანიშნავია მარქსისტი მეცნიერის, ნიდჰემის, აღმოსავლური დესპოტიზმის შესახებ პროფესორ ვიტფოგელის კრიტიკული კვლევის შეფასება: „ცივილიზაციამ, რომელსაც პროფესორი ვიტფოგელი ასე ესხმის თავს, პოეტები და სწავლულები ოფიციალურ პირებად აქცია“.[14]

---

[13] ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა ინტელექტუალი ხელისუფლების მხარდამჭერია. ინტელექტუალებისა და სახელმწიფოს ალიანსის შესახებ წაიკითხეთ: Bertrand de Jouvenel, The Attitude of the Intellectuals to the Market Society, The Owl, January, 1951, p. 19–27; idem, The Treatment of Capitalism by Continental Intellectuals, in F.A. Hayek, ed., Capitalism and the Historians, Chicago: University of Chicago Press, 1954, pp. 93–123; reprinted in George B. de Huszar, The Intellectuals, Glencoe, Ill.: The Free Press, 1960, pp. 385–99; Joseph A. Schumpeter, Imperialism and Social Classes, New York: Meridian Books, 1975, pp. 143–155.

[14] Joseph Needham, Review of Karl A. Wittfogel, Oriental Despotism, Science and Society, 1958, p. 65. ნიდჰემი ასევე წერს, რომ „[ჩინეთის] იმპერატორების მთელ წყებას ცხოვრების განმავლობაში ემსახურებოდნენ ღრმად ჰუმანური

თანამშრომლობის უთვალავი ფორმიდან ასევე შეგვიძლია გამოვყოთ „სამხედრო სტრატეგიის მეცნიერება“, რომელიც სახელმწიფოს ყველაზე ძალადობრივი დანაყოფის, შეიარაღებული ძალების სამსახურშია.[15] კიდევ ერთი ცნობილი მაგალითია „კარის" ისტორიკოსი, რომელიც მმართველების ხედვას საკუთარი თუ წინამორბედების საქციელის შესახებ ფართო აუდიტორიას აწვდის.[16]

და უანგარო სწავლულები“. (Ibid., p. 61). ვიტფოგელი საუბრობს კონფუციანურ დოქტრინაზე, რომლის თანახმადაც მმართველი კლასის დიდება ცნობილი სწავლული-ბიუროკრატების მხრებზეა დასვენებული, რომელთა ბედისწერაა, იყვნენ მასების პროფესიონალი მმართველები (Karl A. Wittfogel, Oriental Despotism, New Haven, Conn.: Yale University Press, 1957, pp. 320–321). ნიდჰემის საპირისპირო მოსაზრებისთვის იხილეთ John Lukacs, Intellectual Class or Intellectual Profession? in de Huszar, The Intellectuals, pp. 521–522

15 „სტრატეგები დაჟინებით აცხადებენ, რომ მათი პროფესია „პატივისცემას იმსახურებს, როგორც სამხედრო პროფესიის აკადემიური ანალოგი““(Jeanne Ribs, The War Plotters, Liberation, August, 1961, p. 13). ასევე ნახეთ Marcus Raskin, The Megadeath Intellectuals, New York Review of Books, November 14, 1963, p. 6–7.

16 მაგალითისთვის, ისტორიკოსი კონიერს რიდი (Conyers Read) პრეზიდენტისთვის მიძღვნილ მიმართვაში აღნიშნავდა, რომ გამართლებულია ისტორიული ფაქტების მიჩქმალვა, თუ ეს „დემოკრატიასა“ და ეროვნულ ღირებულებებს ემსახურება. რიდი ამტკიცებდა, რომ „საყოველთაო ომი, ცხელია თუ ცივი, ყველას ეხება და მოითხოვს, ყველამ საკუთარი როლი ითამაშოს. ისტორიკოსი იმაზე მეტად არაა თავისუფალი ამ მოვალეობისაგან, ვიდრე — ფიზიკოსი“ (Conyers Read, The Social Responsibilities of the Historian, American Historical Review, 1951, p. 283ff). კარის ისტორიკოსობის ასპექტებისა და რიდის კრიტიკისათვის ნახეთ Howard K. Beale, The Professional Historian: His Theory and Practice, The Pacific Historical Review, August, 1953, pp. 227–255. იხილეთ ასევე, Herbert Butterfield, Official History: Its Pitfalls and Criteria, History and Human Relations, New York: Macmillan, 1952, pp. 182–224 და Harry Elmer Barnes, The Court Historians Versus Revisionism (n.d.), pp. 2ff.

სათავეში მყოფ პირებსა და ინტელექტუალებს, როგორც წესი, უამრავი განსხვავებული არგუმენტი აქვთ, რითაც სუბიექტებს არსებული ხელისუფლების მხარდაჭერისკენ უბიძგებენ. ამ არგუმენტების წყება შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ: ა) სახელმწიფოს მმართველები დიდებული და ბრძენი ადამიანები არიან (ისინი „ღვთისგან მონიჭებული უფლებით" მართავენ, „არისტოკრატები" ან „მეცნიერების ექსპერტები" არიან), ბევრად ჭკვიანები და მნიშვნელოვნები, ვიდრე მათი კეთილშობილი, მაგრამ ჩვეულებრივი მოქალაქეები; ბ) ამ ხელისუფლების მმართველობა გარდაუვალი და აბსოლუტურად აუცილებელია, თანაც ბევრად უკეთესი, ვიდრე ენით აღუწერელი უბედურება, რომელიც მის დაცემას მოჰყვებოდა. ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანობა ერთ-ერთი ყველაზე ძველი და წარმატებული იდეოლოგიური იარაღია ამ არგუმენტების გასავრცელებლად. ისტორიულად მმართველი იყო ან ღმერთის რჩეული, ან, როგორც აღმოსავლური დესპოტიზმის შემთხვევაში ხდებოდა, თავად იყო ღმერთი, ამიტომ მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ღვთის გმობად ითვლებოდა. სხვადასხვა ქვეყანაში მღვდლების ქადაგება ხშირად ემსახურებოდა მმართველისთვის სახალხო მხარდაჭერისა და, მეტიც, თაყვანისცემის მოპოვებას.[17]

კიდევ ერთი წარმატებული იარაღი ალტერნატიული სისტემების მიმართ შიშის ჩანერგვა იყო: იქნებოდა ეს სხვა მმართველობის, თუ მმართველობის არარსებობის წინაშე.

[17] Wittfogel, Oriental Despotism, pp. 87–100. ძველ ჩინეთსა და იაპონიაში რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთსაპირისპირო როლების შესახებ ნახეთ, Norman Jacobs, The Origin of Modern Capitalism and Eastern Asia, Hong Kong: Hong Kong University Press, 1958, pp. 161–94

გავრცელებული აზრით, მთავრობა მოქალაქეებს ყველაზე მნიშვნელოვან მომსახურებას უწევს, რისთვისაც ისინი სამუდამოდ მადლიერნი უნდა იყვნენ — იცავს ცალკეული კრიმინალებისა და მაროდიორებისაგან. იმისთვის, რომ სახელმწიფომ მიტაცებაზე მონოპოლია შეინარჩუნოს, მან კერძო და უსისტემო კრიმინალი მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს, რადგან სახელმწიფო ყოველთვის კბილებით იცავს საკუთარი რესურსების წყაროს. ბოლო საუკუნეებია, მთავრობებს შესაშური წარმატებით გამოსდით სხვა მმართველების მიმართ შიშის ჩანერგვა. მას შემდეგ, რაც დედამიწაზე არსებული ტერიტორია სხვადასხვა ქვეყნებს შორის დანაწილდა, სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი დოქტრინა საკუთარი თავის იმ ტერიტორიასთან გაიგივება იყო, რომელსაც მართავდა. რაკი ადამიანების დიდ ნაწილს სამშობლო უყვარს, ამ მიწისა და მასზე მცხოვრები ხალხის ხელისუფლებასთან გაიგივებით სახელმწიფო ახერხებს, ბუნებრივი პატრიოტიზმი თავის სასიკეთოდ გამოიყენოს. „რურიტანიას" რომ თავს „ვალდავია" დასხმოდა, სახელმწიფოსა და ინტელექტუალების მთავარი ამოცანა „რურიტანიის" მოსახლეობის იმაში დარწმუნება იქნებოდა, რომ თავს პირდაპირ მათ დაესხნენ და არა — მმართველ კასტას. ამგვარად, ხელისუფლებებს შორის ომი ხალხებს შორის ომად იქცეოდა, თითოეული მეომარი კი საკუთარი მმართველების დასაცავად იმ მცდარი შეხედულებების საფუძველზე გამოვიდოდა, რომ მმართველებიც იცავენ ჩვეულებრივ მოქალაქეებს. ამგვარი „ნაციონალიზმი" დასავლურ ცივილიზაციაში მხოლოდ ბოლო საუკუნეებში იყო წარმატებული. არც ისე დიდი ხნის წინ სუბიექტების

დიდი ნაწილი ომს დიდებულთა დასებს შორის უმნიშვნელო ბრძოლად აღიქვამდა.

სახელმწიფომ საუკუნეების განმავლობაში მრავალი შეფარული იდეოლოგიური იარაღის გამოჭედვა შეძლო. მათ შორის ერთ-ერთი ტრადიციაა. რაც უფრო დიდხანს შეძლებს მმართველობა თავის გადარჩენას, მით უფრო ძლევამოსილი გახდება ეს იარაღი. X სახელმწიფოს Y დინასტია მით უფრო ძლიერი იქნება, რაც უფრო მეტი ასწლეულის ტრადიცია გაუმაგრებს ზურგს.[18] ამგვარად, წინაპრების თაყვანისცემა არც ისე შეფარული ფორმით წარსული მმართველების თაყვანისცემაში გადაიზრდება.

სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე დამოუკიდებელი ინტელექტუალური კრიტიკაა. ამ კრიტიკის ჩასახშობად უკეთესი გზა არ არსებობს, ვიდრე ცალკეული ხმების გაჩუმება და ახალი ეჭვების გამავრცელებლებისათვის „წინაპრების სიბრძნის“ გამქარწყლებლების იარლიყის მიწებება.

---

[18] „მორჩილების მთავარი მიზეზი ისაა, რომ ის [მორჩილება] ჩვენი სახეობის ჩვევად იქცა… ძალაუფლება ჩვენთვის ბუნებრივი ფაქტია. იმ დროიდან, როცა ისტორიის ჩაწერა დავიწყეთ, ძალაუფლება ხალხის ბედისწერას განკარგავდა… ძველი დროის [საზოგადოების] მმართველები გაქრნენ, თუმცა თავიანთ შთამომავლებს პრივილეგიები გადასცეს, ადამიანთა გონებაში კი საკუთარი ანაბეჭდი დატოვეს, რომელსაც კუმულატიური ეფექტი აქვს. მემკვიდრეობით დაკავშირებული მმართველები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ერთსა და იმავე საზოგადოებას მართავდნენ, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც არსებითად ერთი ხელისუფლება: ხის ღერო, რომელსაც რგოლები ემატება და ემატება.“ (De Jouvenel, On Power, p. 22)

კიდევ ერთი ძლევამოსილი იდეოლოგიური იარაღი ინდივიდის დაკნინება და კოლექტიურობისთვის ხოტბის შესხმაა. რადგან თითოეული მმართველობა უმრავლესობის თანხმობას გულისხმობს, ნებისმიერი იდეოლოგიური საფრთხე შეიძლება ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებლად მოაზროვნე ინდივიდისგან დაიწყოს. არათუ კრიტიკული, არამედ ნებისმიერი ახალი იდეა, აუცილებლად უმცირესობისგან წარმოიშობა. შესაბამისად, სახელმწიფომ მსგავსი მცდელობა ჩანასახშივე უნდა ჩაახშოს. ამისთვის კი ნებისმიერ იმ ხედვას უნდა დასცინოს, რომელიც მასების აზრს ეწინააღმდეგება. „მხოლოდ შენს ძმებს მოუსმინე“ ან „საზოგადოებას მოერგე“ ინდივიდუალური განსხვავებული აზრის გასანადგურებელი იარაღი გახდა.[19] ამგვარად, მასები ვერასდროს შეიტყობენ, რომ იმპერატორს ტანსაცმელი არ აცვია.[20] სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ მისი მმართველობა „გარდაუვალი“ ჩანდეს: მაშინაც კი, როცა კონკრეტული მმართველობა მოქალაქეებს არ მოსწონთ, მათი პასუხი პასიური გვერდზე გადგომაა, რაც კარგად ჩანს

---

[19] ჩინეთში რელიგიის ამგვარი გამოყენების შესახებ ნახეთ ნორმან ჯეიკობსის ზემოაღნიშნული წიგნის სხვადასხვა ნაწილები.

[20] „ერთადერთი, რასაც [მმართველობა] ხედავს ორიგინალურ იდეაში — პოტენციური ცვლილებაა, უფრო კონკრეტულად კი — არსებული პრივილეგიების შეზღუდვა. ნებისმიერი ხელისუფლებისათვის ყველაზე სახიფათო მეტოქე ის ადამიანია, რომელსაც შეუძლია, დამოუკიდებლად იფიქროს, ცრურწმენებისა და ტაბუების ზეგავლენის ქვეშ მოქცევის გარეშე. კრიტიკული გონების მქონე ინდივიდი აუცილებლად მივა დასკვნამდე, რომ მისი მთავრობა უღირსი, შეშლილი და აუტანელია და, თუ საკმარისად რომანტიკოსი იქნება, მის შეცვლასაც შეეცდება. მაშინაც კი, თუ თავად რომანტიკოსი არ აღმოჩნდება მეამბოხე, ის არაჩვეულებრივად გაავრცელებს უკმაყოფილებას რომანტიკოსებს შორის.“ (Henry L. Mencken, A Mencken Chrestomathy, New York: Knopf, 1949, p. 145)

ცნობილ ფრაზაში *სიკვდილისა და გადასახადების* დაწყვილებით.[21]

კიდევ ერთი მეთოდი ისტორიული დეტერმინიზმის გაღვივება და ინდივიდუალურ თავისუფალ არჩევანთან მისი შეპირისპირებაა. თუკი X დინასტია გვმართავს, ეს ისტორიის მტკიცე კანონების გამო ხდება (ან — ღვთის სურვილის, ან — აბსოლუტის, ან — საწარმოო ძალების) და არც ერთ ინდივიდს ამ შეუვალი ბრძანების შეცვლა არ ძალუძს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პარალელურად სახელმწიფო მტკიცედ უნდა დაუპირისპირდეს „ისტორიის შესახებ ნებისმიერ შეთქმულების თეორიას“, რადგან „შეთქმულების“ ძიება მოტივების ძიებასაც ნიშნავს. ამან კი შეიძლება ისტორიულ შეცდომებზე პასუხისმგებლობის აღების მოთხოვნასთან მიგვიყვანოს. მეორე მხრივ კი, თუ სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული ნებისმიერი ტირანია, მექრთამეობა თუ აგრესიული ომი არა მმართველების, არამედ ამოუცნობი და იდუმალი „სოციალური ძალების“ წამოწყებულია, ან სამყაროს ნაკლულოვნების ან „*ყველას* ბრალია“ („ჩვენ ყველანი მკვლელები ვართ“ — ამბობს ერთი სლოგანი), მაშინ უკუღმართ საქმეებზე ხმის ამაღლებასა თუ აღშფოთებას აზრი არ აქვს. შესაბამისად, შეთქმულების თეორიებზე შეტევა ხელს უწყობს, რომ ადამიანები უფრო მარტივად იზიარებდნენ „საზოგადო კეთილდღეობაზე“ დაფუძნებულ არგუმენტებს, რომელსაც სახელმწიფო ხშირად იყენებს საკუთარი დესპოტური გადაწყვეტილებების სისრულეში მოსაყვანად.

---

[21] იგულისხმება ბენჯამინ ფრანკლინის ცნობილი ფრაზა: „ცხოვრებაში ორი რამაა გარდაუვალი: სიკვდილი და გადასახადები“ — ქართული გამოცემის მეცნიერული რედაქტორი.

„შეთქმულების თეორიას“ შეუძლია სისტემას ძირი გამოუთხაროს იმით, რომ საზოგადოებას სახელმწიფოს იდეოლოგიურ პროპაგანდაში ეჭვი შეატანინოს.

სახელმწიფოს არსენალში კიდევ ერთი ნაცადი და გამართლებული ხერხი — დანაშაულის შეგრძნების გამოწვევაა. პირადი საკუთრების ნებისმიერი ზრდა შეიძლება შეიფუთოს, როგორც „მეტისმეტი სიხარბე“, „მატერიალიზმი“ ან „ზედმეტი დოვლათი“, შემოსავლის მიღება შეიძლება დაიგმოს, როგორც „ექსპლუატაცია“ და „უზურპაცია“, ორმხრივად სასარგებლო გაცვლები შეიძლება „ეგოიზმად“ გამოცხადდეს და ამ ყველაფერს თან გასდევდეს რწმენა, რომ მეტი რესურსი უნდა გადავიდეს კერძოდან „საჯარო სექტორში“. დანაშაულის შეგრძნება საზოგადოებას უბიძგებს, მიიღოს ეს და ზუსტად ამგვარად მოიქცეს. თუკი ცალკეულ ინდივიდს შეუძლია „ეგოისტურ სიხარბეში“ ჩაეფლოს, მმართველების მიერ ამგვარ გაცვლებში წარუმატებლობა თითქოს მათ ამაღლებულ და კეთილშობილურ მიზეზებს უსვამს ხაზს — პარაზიტული მიტაცება, როგორც ჩანს, მორალურად და ესთეტიკურად უფრო ამაღლებულ ცნებად ითვლება, ვიდრე მშვიდი და პროდუქტიული მუშაობა.

ამჟამინდელ, უფრო სეკულარულ ერაში, ღმერთი, რომლის მიერაც ხელისუფლებაა „ხელდასხმული“, ახალი ღმერთით — მეცნიერებით ჩანაცვლდა. ამჟამად სახელმწიფო მმართველობა ზემეცნიერულ წყობად აღიქმება, რომელიც ექსპერტების მოსაზრებებსა და მიგნებებს ეფუძნება. მართალია, ბოლო დროს „გონება“ უფრო ხშირად გვესმის, ვიდრე წინა საუკუნეებში, მაგრამ ეს მაინც არაა ინდივიდის

რეალური „გონი“ და მის მიერ არჩევანის თავისუფლების გამომჟღავნება. ეს გონება ჯერაც კოლექტივისტური და დეტერმინისტულია, კვლავაც მოიცავს ჰოლისტურ გაზვიადებებსა და პასიურ სუბიექტებზე მთავრობის მიერ ძალადობრივ მანიპულაციებს.

სამეცნიერო ჟარგონის გამოყენებით, სახელმწიფოს ინტელექტუალები მმართველობის გასამართლებელ ობსკურანტულ არგუმენტებს იგონებენ, რომელთა დიდი ნაწილი უფრო მარტივ ერაში მცხოვრებ ადამიანებს სასაცილოდაც არ ეყოფოდათ. მძარცველს ძალიან გაუჭირდებოდა ადამიანები მისი ქურდობის სარგებლიანობაში დაერწმუნებინა იმ არგუმენტით, რომ მოპარული ფულის ხარჯვით ის საცალო ვაჭრობას ახალისებს. თუმცა, საკმარისია ეს თეორია კეინზიანურ ტოლობებში შეიფუთოს და „მულტიპლიცირების ეფექტთან“ დაკავშირდეს, რომ, სამწუხაროდ, უკვე დამაჯერებელი ხდება. ამგვარად, საღ აზრზე ძალადობა გრძელდება და ყოველი საუკუნე ამ ამოცანას საკუთარი მეთოდით უმკლავდება.

როგორც ვხვდებით, სახელმწიფოსთვის იდეოლოგიური მხარდაჭერა პრინციპული საკითხია. მან საზოგადოება საკუთარი „ლეგიტიმურობით“ უნდა მოაჯადოოს, რათა ბანდებისგან თავი განასხვაოს. საღ აზრზე ასეთი შეუპოვარი შეტევა შემთხვევითი არაა. როგორც მენკენი ცხადად ხსნის: *„ჩვეულებრივი ადამიანი, რამდენ სხვა რამეშიც არ უნდა ცდებოდეს, მინიმუმ იმას მაინც აღიქვამს სწორად, რომ მთავრობა სადღაც სხვაგან, მისგან და მისი თანასწორებისაგან შორს არის განლაგებული, რომ იგი განცალკევებული,*

დამოუკიდებელი და მტრული ძალაა, რომელსაც მხოლოდ ნაწილობრივ აკონტროლებს და რომელსაც მისთვის დიდი უბედურების მოტანა შეუძლია. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სახელმწიფოს გაძარცვა ყველგან ნაკლებად მნიშვნელოვან კრიმინალადაა მიჩნეული, ვიდრე ინდივიდის ან კორპორაციის გაძარცვა... ჩემი აზრით, ამის უკან მთავრობასა და მის მიერ მართულ ხალხს შორის ფუნდამენტური ანტაგონიზმის გააზრება დგას. იგულისხმება, რომ ეს ამომრჩევლების მიერ შერჩეული კომიტეტი კი არაა, რომელმაც მთელი მოსახლეობის საერთო საქმეები უნდა მართოს, არამედ ცალკეული, ავტონომიური კორპორაცია, რომელიც თავისი წევრების სარჩენად ხალხის ექსპლუატაციას ეწევა. როცა კონკრეტულ ინდივიდს ძარცვავენ, ღირსეული ადამიანი საკუთარი შრომის ნაყოფის გარეშე რჩება, ხოლო როცა სახელმწიფოს ძარცვავენ, ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, რომ კონკრეტულ მატყუარებსა და უსაქმურებს უფრო ნაკლები ფული დარჩეთ „სათამაშოდ“, ვიდრე მათ წარსულში ჰქონდათ. შეგრძნება, რომ მათ ეს ფული გამოიმუშავეს, საკმაოდ უცხოა და ნებისმიერ კეთილგონიერ ადამიანს სასაცილოდ მოეჩვენებოდა“.[22]

[22] Ibid., pp. 146–47.

როგორ სცდება სახელმწიფო საკუთარ საზღვრებს

როგორც ბერტრან დე ჟუვენელმა ბრძნულად აღნიშნა, საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობამ სახელმწიფოს მმართველობის მონიტორინგისა თუ მისთვის ლიმიტების დასაწესებლად სხვადასხვა კონცეფცია ჩამოაყალიბა, თუმცა ისინი ინტელექტუალებმა სათითაოდ გარდაქმნეს ლეგიტიმაციისა და ჭეშმარიტების იარლიყებად, რომელთაც სახელმწიფოს გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს მიაკერებდნენ. თავდაპირველად, დასავლეთ ევროპაში, ღმერთისა და უმაღლესი ხელისუფლების დაკავშირება იმას ნიშნავდა, რომ მმართველებს საღვთო კანონების მიხედვით უნდა ემართათ ქვეყანა, მმართველებმა კი ეს კონცეფცია მეფის ნებისმიერი ქმედების გასამართლებელ შტამპად აქციეს. საპარლამენტო დემოკრატიის ცნება თავდაპირველად იმისთვის შეიქმნა, რომ აბსოლუტური მონარქიული ძალაუფლებისთვის საზღვრები დაეწესებინა, საბოლოოდ კი პარლამენტი სახელმწიფოს შემადგენელ უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა და მისი ყველა ქმედება ხელშეუხებელი გახდა.

დე ჟუვენელი ასკვნის: *„მმართველობის თეორიებზე მომუშავე უამრავ ავტორს აქვს შექმნილი... ასეთი შემზღუდველი ერთი მექანიზმი მაინც, თუმცა ყველა ასეთი თეორია, ადრე თუ გვიან, საკუთარ თავდაპირველ მიზანს კარგავს და ძალაუფლებამდე მისაღწევ ტრამპლინად იქცევა. ეს, როგორც წესი, ხდება მაგიური უხილავი მმართველის*

დახმარებით, რომელიც დროთა განმავლობაში წარმატებით აიგივებს საკუთარ თავს მექანიზმთან, რომელმაც ძალაუფლება მოუტანა“.[23]

იგივე დაემართათ სხვა სპეციფიკურ დოქტრინებსაც: ინდივიდის „ბუნებითი უფლებები“, რომლებიც ჯონ ლოკის ნაშრომებსა და უფლებათა ბილშია განსხეულებული, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ „მუშაობის უფლებაში“ გადაიზარდა, უტილიტარიზმი, რომელიც თავისუფლებას ქადაგებდა, სახელმწიფოს მიერ ინდივიდის თავისუფლების შელახვის გამამართლებელ არგუმენტად გადაიქცა და ა.შ.

ყველაზე ამბიციური მცდელობა, სახელმწიფოსთვის საზღვრები დაედგინა, უფლებათა ბილი და აშშ-ს კონსტიტუციის სხვა შემზღუდველი ნაწილებია. მათში გაწერილი წერილობითი საზღვრები ფუნდამენტურ კანონად იქცა, რომელიც ხელისუფლების სხვა შტოებისგან, წესით დამოუკიდებელი სასამართლოს ინტერპრეტაციისთვისაა განკუთვნილი. კონსტიტუციაში გაწერილი საზღვრების შეუქცევადი გაბუნდოვანების პროცესს გასულ საუკუნეში ყველა ამერიკელი ადევნებდა თვალს, თუმცა ცოტა თუ ყოფილა ისეთი თამამი, როგორიც პროფესორი ჩარლზ ბლექია. მისი თქმით, ხელისუფლებამ სასამართლო, თავისი შემზღუდველი მექანიზმიდან თავისივე ქმედებებისთვის იდეოლოგიური ლეგიტიმაციის შემმატებელ ინსტრუმენტად აქცია. რამდენადაც გადაწყვეტილებისთვის „არაკონსტი-ტუციური“ იარლიყის მინიჭება ხელისუფლების ძალაუფლების შესაზღუდად ძლევამოსილი იარაღია,

[23] De Jouvenel, On Power, pp. 27ff.

იმდენადვე ეფექტიანია „კონსტიტუციური“ ვერდიქტის გამოყენება მთავრობის ძალაუფლების კიდევ უფრო გასაზრდელად.

პროფესორი ბლექი თავის ანალიზს იმის აღნიშვნით იწყებს, რომ ლეგიტიმურობა ნებისმიერი მთავრობისათვის კრიტიკულად აუცილებელია. ლეგიტიმურობა ამ კონტექსტში მთავრობისა და მისი ქმედებების სახალხო „მიღებას“ გულისხმობს.[24] ლეგიტიმურობა განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში იქცევა პრობლემად, როგორიც შეერთებული შტატებია, სადაც „მთავარი შემზღუდველი მექანიზმები იმავე თეორიაშია ჩაქსოვილი, რომელსაც ხელისუფლება ეყრდნობა“.

ბლექი ამატებს, რომ სახელმწიფოს სჭირდება რეალური ბერკეტი, რომლითაც საზოგადოებას დაარწმუნებს, რომ მისი მზარდი ძალაუფლება, სინამდვილეში „კონსტიტუციურია“. ეს კი, მისი თქმით, სასამართლო კონტროლის მთავარი ისტორიული ფუნქციაა.

აი, როგორ წარმოგვიდგენს ბლექი ამ პრობლემას: „*ნებისმიერი მთავრობისთვის ყველაზე დიდი რისკია მოსახლეობაში უკმაყოფილებისა და აღშფოთების ფართოდ გავრცელება და საკუთარი მორალური ავტორიტეტის ნგრევა, როგორ დიდხანსაც არ უნდა შეაჩეროს ეს პროცესი ძალის გამოყენებამ, ხალხის ინერტულობამ ან მომხიბვლელი და მყისიერად ხელმისაწვდომი ალტერნატივის არარსებობამ.*

[24] Charles L. Black. Jr., The People and the Court, New York: Macmillan, 1960, pp. 35ff.

ადრე თუ გვიან, თითქმის ყველა, ვინც შეზღუდული ძალაუფლების მქონე მთავრობის პირობებში ცხოვრობს, რომელიმე სამთავრობო გადაწყვეტილებას დაექვემდებარება, რომელიც სინამდვილეში, მისი პირადი აზრის თანახმად, ან მთავრობის გავრცელების არეალს სცილდება, ან მთავრობისთვის პოზიტიური აკრძალვების სიაშია. კაცს სამხედრო სამსახურში იწვევენ, იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუციაში გაწვევასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი... ფერმერს ეუბნებიან, რამდენი ხორბლის მოყვანა შეუძლია. მას სჯერა და ზოგი პატივსაცემი იურისტიც ეთანხმება, რომ მთავრობას ისევე არაფერი ესაქმება იმასთან, თუ რამდენ ხორბალს მოიყვანს, როგორც იმასთან, ვის გაჰყვება მისი ქალიშვილი. ადამიანს ფედერალურ საპყრობილეში უკრავენ თავს იმის თქმის გამო, რასაც ფიქრობს, და ის საკანში ბოლთის ცემისას ციტირებს „კონგრესმა არ უნდა მიიღოს კანონი, რომელიც სიტყვის თავისუფლებას შეზღუდავს"... ბიზნესმენს ეუბნებიან, რა ფასი შეუძლია და ვალდებულია დააწესოს ცხიმგამოცლილი ნაღების გასაყიდად."

საკმარისად რეალურია საფრთხე, რომ თითოეული ეს ადამიანი (და ვინ არ შედის ამ ადამიანების რიცხვში?!) საკუთარ თავზე გამოცდის, თუ რამდენად განსხვავდება მთავრობის საზღვრების თეორიული ცნება რეალობისგან, სადაც ხელისუფლება მისთვის დაწესებულ საზღვრებს მუდმივად არღვევს. ამას კი ხელისუფლების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნა მოჰყვება.[25]

[25] Ibid., pp. 42–43.

ამ საფრთხის არიდება სახელმწიფოს მიერ იმ დოქტრინის წინ წამოწევით ხდება, რომ მხოლოდ ერთი უწყება უნდა იღებდეს საბოლოო გადაწყვეტილებას კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით და, ზემომოყვანილი ანალიზის თანახმად, ეს უწყება ცენტრალური მმართველობის ნაწილი *უნდა* იყოს.[26] გარკვეული დროის განმავლობაში სასამართლოს ფასადურმა დამოუკიდებლობამ მისი ქმედებები ხალხის თვალში „წმინდა წერილად“ აქცია. ისიც მართალია, რომ სასამართლო სახელმწიფო აპარატის ნაწილია, რომლის წევრებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო განშტოებები ნიშნავენ. ბლექი აღიარებს, რომ სახელმწიფო საკუთარივე თავის მსაჯული ხდება, რითაც მთავარი საკანონმდებლო პრინციპი ირღვევა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება. ის უცერემონიოდ უარყოფს სხვა ალტერნატიული სცენარის არსებობას.[27]

---

[26] „[უზენაესი] სასამართლოს მთავარი და ყველაზე საჭირო ფუნქცია კანონის ძალის ლეგალიზაციაა და არა მისი შეზღუდვა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მთავრობას, დასაწყისშიც და მოგვიანებითაც, განგრძობითად, თავისი მოქალაქეებისათვის იმის ჩვენება სჭირდება, რომ საკუთარი გავლენის შესამცირებლად და საზღვრებში დასატევად კაცობრიობისათვის ცნობილ ყველა ზომას იღებს. ეს ლეგიტიმაციისთვის აუცილებელი პირობაა, ლეგიტიმაცია კი, გრძელ ვადაში, მის სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს. სასამართლო თავისი ისტორიის განმავლობაში სწორედ ხელისუფლების ლეგიტიმაციის მისაღწევი იარაღი იყო.“ (Ibid., p. 52)

[27] ბლექისათვის ეს „გამოსავალი“ მართალია, პარადოქსულია, მაგრამ საოცრად თვალსაჩინო: „სახელმწიფოს საბოლოო ძალაუფლება… იქ უნდა შეჩერდეს, სადაც მას კანონი აჩერებს. და ვინ აწესებს ამ საზღვრებს, ვინ აიძულებს მას შეჩერებას უმაღლესი ძალაუფლების წინაშე? ცხადია, თავად სახელმწიფო, თავისი მოსამართლეებითა და კანონებით. ვინ აკონტროლებს მარეგულირებლებს? ვინ ასწავლის ბრძენებს?“ (Ibid., pp. 32-33)
ასევე: „როცა საკითხი დამოუკიდებელი ერის მმართველების ძალაუფლებას ეხება, შეუძლებელია ისეთი არბიტრის მოძებნა, რომელიც მმართველობის

ბლექი ამატებს: *„ამგვარად, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შემუშავდეს რაიმე მექანიზმი, რომელიც [იმედია] მინიმუმამდე დაიყვანს იმ ფაქტისადმი წინააღმდეგობას, რომ მთავრობა თავადვე წყვეტს საკუთარ საკითხს. ამ ამოცანის გადაწყვეტით, შეგიძლიათ, იმედი იქონიოთ, რომ ეს წინააღმდეგობა, თუნდაც* ***თეორიულად მაინც დასაბუთებული****, პრაქტიკაში საკმარის ძალას დაკარგავს და გადაწყვეტილების მიმღებ ინსტიტუციებს ხელს არ შეუშლის ლეგიტიმაციის მოპოვებაში“.*[28]

ბოლოს ანალიზში ბლექი მთავრობის მიერ საკუთარი თავის განსჯის პროცესში სამართლიანობისა და ლეგიტიმაციის დამყარების შესაძლებლობას „ერთგვარ სასწაულს“ უწოდებს.[29]

გარეთაა. ყველა ეროვნულ ხელისუფლებას, სანამ ის ხელისუფლებად ითვლება, უნდა შეეძლოს, თავად განსაზღვროს საკუთარი ძალაუფლების საზღვრები“. (Ibid., pp. 48–49).

[28] Ibid., p. 49

[29] მთავრობისათვის ამგვარი სასწაულის მიწერა ჯეიმს ბურნჰემის (James Burnham) მიერ მთავრობის მისტიციზმითა და ირაციონალურობით გამართლებას წააგავს: „ძველ დროში, სანამ მეცნიერების ილუზია ტრადიციულ სიბრძნეს გარყვნიდა, ქალაქების დამაარსებლებს ღმერთებად ან ნახევრადღმერთებად იცნობდნენ… ძალაუფლების წყაროსა და გამამართლებელი არგუმენტების რაციონალურ ცნებებში მოქცევა შეუძლებელია… რატომ უნდა მივიღო ლეგიტიმაციის მემკვიდრეობითი, დემოკრატული ან ნებისმიერი სხვა ტიპის პრინციპი? რატომ უნდა გაამართლოს პრინციპმა სხვა ადამიანების მბრძანებლობა ჩემზე? მე ვიღებ ამ პრინციპს, რადგან… ასეთია „წესი“ და ყოველთვის ასე იყო“ (James Burnham, Congress and the American Tradition, Chicago: Regnery, 1959, pp. 3–8). თუმცა რა მოხდება, თუ ვინმე არ მიიღებს პრინციპებს? როგორი იქნება ცხოვრება მაშინ?

ეს თეზისი უზენაეს სასამართლოსა და რუზველტის ახალ კურსს შორის არსებულ ცნობილ კონფლიქტს რომ მივუსადაგოთ, პროფესორი ბლექი მსუბუქად დასცინის ახალი კურსის მომხრე კოლეგებს, იურიდიული წინააღმდეგობების შეფასებისას გამოჩენილი ახლომხედველობის გამო: *„ახალ კურსსა და სასამართლოს შორის კონფლიქტის ისტორიის სტანდარტულ ვერსიაში, გარკვეულწილად ზუსტი, თუმცა მაინც არასწორი აქცენტები ისმება… ის უმეტესად სირთულეებზე კონცენტრირდება და თითქმის სრულად ივიწყებს, როგორ დასრულდა მთელი ამბავი. ამ საქმის დამაგვირგვინებელი წერტილი ის იყო, რომ [და ამას აუცილებლად მინდა ხაზი გავუსვა] 24-თვიანი შეყოვნების შემდეგ… უზენაესმა სასამართლომ კანონებში თუ მოსამართლეთა მოქმედ შემადგენლობაში ერთი ცვლილების გარეშე დაამტკიცა ახალი კურსის ლეგიტიმურობა, და მასთან ერთად, ამერიკის მთავრობის სრულიად ახალი კონცეფცია“.*[30][31]

ამგვარად, უზენაესმა სასამართლომ ამერიკელების ის ანგარიშგასაწევი რაოდენობა დაადუმა, რომელთაც ახალი კურსის წინააღმდეგ კონსტიტუციაზე დამყარებული ძლიერი არგუმენტები ჰქონდათ: *„რა თქმა უნდა, ყველა კმაყოფილი არ დარჩენილა. ჯერ კიდევ ბევრი ფანატიკოსი უჭერდა მხარს რეალობას მოწყვეტილ კონსტიტუციაზე დამყარებულ laissez-*

[30] Black, The People and the Court, p. 64.

[31] თავდაპირველად აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ახალი კურსის რეფორმები არაკონსტიტუციურად მიიჩნია, თუმცა ხანგძლივი პოლიტიკური დაპირისპირების შემდეგ, მოსამართლეებმა შეცვალეს თავისი პოზიცია — ქართული გამოცემის მეცნიერული რედაქტორი.

faire-ს[32]*. თუმცა ამჟამად კონგრესის კონსტიტუციურ ძალაუფლებას, ისე მოექცეს ეროვნულ ეკონომიკას, როგორც ექცევა, საზოგადოების მხრიდან არსებითი ან მნიშვნელოვანი საფრთხე აღარ ემუქრება“.*[33]

ჩვენ უზენაესი სასამართლოს გარდა, სხვა იარაღი არ გვქონდა, რომ ახალი კურსისათვის ლეგიტიმაცია მოგვეპოვებინა.

ბლექი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური თეორეტიკოსი, რომელმაც, მეტწილად, წინასწარ შეამჩნია, როგორ მოქმედებს თავის დასაძვრენი მექანიზმები უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობისთვის საკონსტიტუციო ლიმიტების დაწესების პროცესში, ჯონ კელჰუნი იყო. კელჰუნს არ აკმაყოფილებდა „სასწაული“, სანაცვლოდ, მან კონსტიტუციური პრობლემის ჩაღრმავებული ანალიზი შემოგვთავაზა. თავის ნარკვევში ავტორმა ფარდა ახადა სახელმწიფოსთვის თანდაყოლილ თვისებას — გასცდეს კონსტიტუციით დაწესებულ საზღვრებს: *„დაწერილ კონსტიტუციას, ცხადია, მრავალი ხელშესახები უპირატესობა აქვს, თუმცა ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს და არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ მხოლოდ შეზღუდვების ჩაწერით და* ***იმის გარეშე,*** *რომ ადამიანი, რომლის დასაცავად ეს შეზღუდვები არის შემოღებული,* ***ამ შეზღუდვების აღსრულების ინსტრუმენტებით უზრუნველვყოთ,*** *მმართველი და დომინანტური პარტია საკუთარი*

---

[32] მთავრობის მიერ ეკონომიკაში ჩაურევლობის პოლიტიკა — ქართული გამოცემის მეცნიერული რედაქტორი.
[33] Ibid., p. 65.

ძალაუფლების გაფართოებაზე იტყვის უარს. პარტია, რომელიც მთავრობაშია, იმავე კონსტიტუციიდან, რომელშიც მთავრობა საზოგადოების დასაცავ აუცილებელ ინსტრუმენტად არის წარმოჩენილი, ძალაუფლების მხარდასაჭერ არგუმენტებს გამოძებნის, ხოლო გასაკონტროლებლად შექმნილ შეზღუდვებს მედგრად დაუპირისპირდება... შედარებით მცირე ან სუსტი პარტია კი, მეორე მხრივ, საპირისპირო მიმართულებას აირჩევს და შეზღუდვებს დომინანტური პარტიისგან დასაცავ მთავარ იარაღად წარმოაჩენს. იქ, სადაც არ არსებობს ბერკეტები, რომლითაც უმრავლესობაში მყოფ პარტიას ვაიძულებდით, შეზღუდვები გაეთვალისწინებინა, გამოსავალი კონსტიტუციის პირდაპირი ინტერპრეტაცია იქნებოდა... მმართველი პარტია კი თავის მხრივ ამას ტექსტის შედარებით თავისუფალ ინტერპრეტაციას დაუპირისპირებდა. შეიქმნებოდა განსხვავებული მიდგომების კონფლიქტი: ერთი — მთავრობის ძალაუფლების შესაზღუდად, მეორე კი — მაქსიმალურად გასაზრდელად. თუმცა, რა შანსი აქვს მცირე პარტიის მიერ შემოთავაზებულ შედარებით მკაცრ ინტერპრეტაციას მთავარი პარტიის შედარებით თავისუფალ ვარიანტთან?! განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთს (სადაც მთავრობა ძლევამოსილია) ყველა საშუალება ექნებოდა ცვლილებების ასამოქმედებლად, მეორე კი იმთავითვე მოკლებული იქნებოდა მსგავს შესაძლებლობას? ასეთ არათანაბარ შეჯიბრში შედეგი მარტივად მისახვედრია. პარტიას, რომელიც მთავრობის მეტ შეზღუდვას მოითხოვდა,

აუცილებლად დაჯაბნიდნენ. შეზღუდვები განულდებოდა და მთავრობა უსაზღვრო ძალაუფლებას ჩაიგდებდა ხელში“.[34]

იმ მცირე რაოდენობის პოლიტიკურ მეცნიერთა შორის, რომლებმაც კონსტიტუციის კელჰუნისეული ანალიზი დააფასეს, ერთ-ერთი პროფესორი ჯ. ალენ სმითი იყო. სმითმა აღნიშნა, რომ კონსტიტუცია შემაკავებელი და დამაბალანსებელი მექანიზმებისაგან შედგება, რათა მთავრობის ძალაუფლება საყოველთაოდ არ იქცეს. თუმცა, შემდეგ შეიქმნა უზენაესი სასამართლო, რომელსაც ინტერპრეტაციის აბსოლუტურ ძალაუფლებაზე მონოპოლია მიენიჭა. თუკი ფედერალური მთავრობა იმისთვის არსებობს, რომ ცალკეული შტატებისაგან ინდივიდუალური თავისუფლების შელახვის შემთხვევები გააკონტროლოს, თავად ფედერალურ ძალაუფლებას ვინ უნდა აკონტროლებდეს? სმითმა ხაზი გაუსვა კონსტიტუციაში ჩადებულ *კონტროლისა და ბალანსის* იდეას, რომლითაც მთავრობის ვერცერთი განშტოება ვერ მიიღებდა ინტერპრეტაციის შეუზღუდავ ძალაუფლებას: „ხალხს იმედი ჰქონდა, რომ ახალ მთავრობას არ ექნებოდა უფლება, საკუთარი ძალაუფლების საზღვრები დაედგინა, რადგან ამ შემთხვევაში სწორედ მთავრობა იქნებოდა მმართველი და არა — კონსტიტუცია“.[35]

---

[34] John C. Calhoun, A Disquisition on Government, New York: Liberal Arts Press, 1953, pp. 25–27. იხილლე ასევე Murray N. Rothbard, Conservatism and Freedom: A Libertarian Comment, Modern Age, Spring, 1961, p. 219.

[35] J. Allen Smith, The Growth and Decadence of Constitutional Government (New York: Henry Holt, 1930), p. 88. სმითი ამატებს: „თვალსაჩინო იყო, რომ კონსტიტუციის ის ნაწილები, რომლებიც რომელიმე სახელისუფლებო ორგანოს ძალაუფლების შეზღუდვის მიზნით იყო შექმნილი, მარტივად შეიძლება გაბათილებულიყო, თუ მისი ინტერპრეტაცია და რეალიზაცია იმავე ორგანოებს ჩაბარდებოდათ, რომლებიც კონსტიტუციას უნდა

კელჰუნის მიერ შემოთავაზებულ გამოსავალს (ამ საუკუნეში განვითარებული ისეთი ავტორების მხრიდან, როგორიც სმითია), „შეთანხმებული უმრავლესობის“ დოქტრინის სახელით ვიცნობთ. თუ ქვეყანაში მოქმედი უმცირესობის ერთეული, კონკრეტულად კი, შტატის მთავრობა, გადაწყვეტს, რომ ფედერალური მთავრობა საკუთარ ძალებს ამეტებს და უმცირესობას რაიმე სახით ჩაგრავს, მას აქვს უფლება, ძალის ამგვარ გადამეტებას „არაკონსტიტუციური“ უწოდოს და ვეტო გამოიყენოს. თუ ამ დოქტრინას შტატების ხელმძღვანელობას მივუსადაგებთ, იგი ფედერალური კანონის „ანულირების“ უფლებას ან შტატის იურისდიქციაში მის მოქცევას ითვალისწინებს.

ამ პრინციპებით აგებული კონსტიტუციური სისტემა თეორიულად უზრუნველყოფდა, რომ ფედერალურ მთავრობას ნებისმიერ შტატში ინდივიდუალური უფლებების შელახვის შემთხვევები გაეკონტროლებინა, შტატები კი ინდივიდზე გადამეტებული ფედერალური ძალაუფლების გავრცელებას შეზღუდავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ურთიერთკონტროლი ბევრად უფრო ეფექტიანი იქნებოდა, ვიდრე ამჟამად არსებული ფორმატი, კელჰუნის მიერ შემოთავაზებულ გამოსავალს მაინც მრავალი სირთულე და პრობლემა ახლავს. თუ მთავარი აზრი ისაა, რომ დაქვემდებარებულ სუბიექტს მასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე ზემდგომისათვის კანონიერი ვეტოს

შეეკავებინა. ცხადია, საღი აზრი გვკარნახობს, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არ უნდა ხელეწიფებოდეს თავისივე ძალაუფლების საზღვრების დადგენა. საღი აზრი და „სასწაულები“ სახელმწიფოს ერთმანეთისგან განსხვავებულ ხედვას გვთავაზობენ“. (Ibid., p. 87)

დადების უფლება მიენიჭოს, რატომ უნდა შევჩერდეთ შტატებზე? რატომ არ უნდა მივცეთ ვეტოს უფლება მუნიციპალიტეტებს, ქალაქებს, ადმინისტრაციულ რაიონებს?

გარდა ამისა, ინტერესები არა მხოლოდ ადგილობრივია, არამედ — პროფესიულიც, სოციალურიც და ასე შემდეგ. რატომ არ უნდა ვრცელდებოდეს ვეტოს ძალა მცხობელებზე, ან ტაქსის მძღოლებზე, ან სხვა პროფესიის წარმომადგენლებზე, თუ სახელმწიფოს გადაწყვეტილება *მათ ცხოვრებას* ეხება? ამ მსჯელობას საინტერესო პუნქტამდე მივყავართ: ანულირების თეორია საკუთარ თავს მხოლოდ **მთავრობისავე ერთეულებით** იზღუდავს. მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ ფედერალური და შტატის ხელისუფლებები, შესაბამის შტოებთან ერთად, მაინც მთავრობას წარმოადგენენ და სახელმწიფო ინტერესებით უფრო ხელმძღვანელობენ, ვიდრე კონკრეტული ინდივიდების. რა შეუშლის კელჰუნის სისტემას ხელს, რომ პირიქით იმუშაოს? მაგალითად, შტატებმა საკუთარი მოქალაქეები ტირანიაში აცხოვრონ და მხოლოდ მაშინ დაადონ ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებას ვეტო, როცა ის შტატების ტირანიის შესაჩერებლად ჩაერევა? ან რატომ არ გახდებიან შტატები ფედერალური ტირანიის ნაწილები? რა ახდენს იმის პრევენციას, რომ ფედერალური და შტატის მთავრობები ორმხრივად სასარგებლო ალიანსს ჩამოაყალიბებენ მოქალაქეების საერთო ექსპლუატაციისათვის? იმ შემთხვევაშიც კი, თუ კერძო პროფესიული დაჯგუფებები მთავრობაში რაიმე „ფუნქციონალურ“ წარმომადგენლობას მიაღწევენ, რა შეუშლით მათ ხელს, რომ საკუთარი პოზიცია სუბსიდიებისა და სხვა პრივილეგიების

მისაღებად გამოიყენონ ან რა აუკრძალავთ საკუთარი პროფესიის წარმომადგენლებისთვის იძულებითი კარტელების ჩამოყალიბებას?

მოკლედ რომ ვთქვათ, კელჰუნს საკმარისად შორს არ მიჰყავს თავისი გზამკვლევი თეორია თანხმობის შესახებ: ის არ ავიწროებს პრინციპებს **ინდივიდამდე**. თუ ინდივიდია ის, ვისი უფლებებიც დაცული უნდა იყოს, მაშინ ლოგიკურია, რომ თანხმობის თეორია ვეტოს უფლებას ინდივიდს უნდა ანიჭებდეს. ეს ერთგვარი „საყოველთაობის პრინციპია“. როცა კელჰუნი წერდა, რომ „მთავრობისთვის შეუძლებელი უნდა იყოს ქმედების განხორციელება თანმხლები თანხმობის გარეშე“, ის, შესაძლოა, თავისდაუნებურადაც კი ამ დასკვნამდე მიდიოდა.[36] თუმცა ამგვარი სპეკულაცია განხილვის საკითხს გვაშორებს და იმ პოლიტიკური სისტემების შესახებ დისკუსიის გზაზე გვაყენებს, რომელთაც რთულად თუ ვუწოდებთ „სახელმწიფოს“.[37] ერთი რამ შეიძლება აღინიშნოს: რამდენადაც ანულირების უფლება შტატს ლოგიკურად აძლევს სეცესიის ანუ „განდგომის“ უფლებას, მოქალაქისთვის მინიჭებული იგივე

[36] Calhoun, A Disquisition on Government, pp. 20–21.

[37] ბოლო წლებში საყოველთაობის პრინციპი საკმაოდ შესუსტებული ფორმით დაბრუნდა, განსაკუთრებით კი, პროფესორ ჯეიმს ბიუკენენის ნაშრომებში (James Buchanan). თუმცა, საყოველთაობის პრინციპის თანამედროვე რეალობისათვის მისადაგებას, განსაკუთრებით კი, მხოლოდ სტატუს-კვოს ცვლილების ჭრილში, შედეგად მხოლოდ ის შეიძლება მოჰყვეს, რომ შემზღუდველი კონცეფცია ისევ სახელმწიფოსთვის ლეგიტიმაციის მიმნიჭებელ შტამპად იქცეს. თუ საყოველთაობის პრინციპს მხოლოდ კანონებისა და ბრძანებების შესწორებებს მივუსადაგებთ, მაშინ ყველაფერი თავდაპირველი „საწყისი წერტილის“ ბუნებაზეა დამოკიდებული. ნახეთ James Buchanan, Gordon Tullock, The Calculus of Consent, Ann Arbor: University of Michigan Press, 1962, passim.

შესაძლებლობა ასევე უნდა გულისხმობდეს ინდივიდის უფლებას „განუდგეს“ სახელმწიფოს, რომელშიც ცხოვრობს.[38]

რომ შევაჯამოთ, ხელისუფლებამ უდავოდ გვაჩვენა შესაშური ტალანტი, განავრცოს საკუთარი ძალა ნებისმიერი ზღვრის მიღმა, რომელსაც დაუწესებენ. რადგან სახელმწიფო აუცილებლად კერძო კაპიტალის ძალადობრივი მიტაცების ხარჯზე ცხოვრობს და რადგან მისი გაფართოება ეჭვშეუტანლად მოიცავს კერძო პირებისა და კომპანიების სივრცეში შეჭრას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო თავისი არსით ბუნებრივად ანტიკაპიტალისტურია. ჩვენი პოზიცია გარკვეულწილად მარქსისტული დებულების საპირისპიროა, რომელიც ამბობს, რომ ხელისუფლება მმართველი კლასის „აღმასრულებელი კომიტეტია“ და შესაბამისად, კაპიტალისტურიც. ამის საწინააღმდეგოდ, ხელისუფლება, ანუ პოლიტიკური მეთოდებით მოქმედი ორგანიზაცია, ქმნის ამ „მმართველ კლასს“ (უფრო სწორად, მმართველ „კასტას“) და მუდმივ ოპოზიციაშია ნამდვილ კერძო კაპიტალთან. ამგვარად, შეგვიძლია დავეთანხმოთ დე ჟუვენელს: *„მხოლოდ მათ, ვისაც საკუთარი ეპოქის გარდა სხვა დროზე წარმოდგენა არ აქვს და არაფერი სმენია ძლევამოსილი ინსტიტუტების ქცევის შესახებ ათასობით წლის განმავლობაში, შეუძლიათ დაიჯერონ, რომ ეს ნაბიჯები [ნაციონალიზაცია, საშემოსავლო გადასახადი და ა.შ.] კონკრეტული დოქტრინების ნაყოფია. სინამდვილეში, ისინი ძალაუფლების გამოვლინების ჩვეულებრივი ფორმებია და საკუთარი ბუნებით არ განსხვავდება ჰენრი VIII მიერ*

[38] Herbert Spencer, The Right to Ignore the State, in Social Statics, New York: D. Appleton, 1890, pp. 229–239.

მონასტრების კონფისკაციისაგან. აქაც იგივე პრინციპი მუშაობს: ძალაუფლებისკენ სწრაფვა, რესურსების მიმართ დაუკმაყოფილებელი წყურვილი და ა.შ. ამ ყველა ოპერაციას ერთი და იგივე მახასიათებელი აქვს: მათ შორის, ნადავლის გამყოფთა რიცხვის სწრაფი ზრდა. ხელისუფლება, სოციალისტურია თუ არა იგი, ყოველთვის ომშია კაპიტალისტურ ინსტიტუტებთან და კაპიტალისტებთან, რათა მათ მიერ დაგროვებული სიმდიდრე მიითვისოს. ასეთი ქცევით ის საკუთარ მტაცებლურ ბუნებას ადასტურებს".[39]

[39] De Jouvenel, On Power, p. 171.

რისი ეშინია სახელმწიფოს

სახელმწიფოს ყველაზე მეტად საკუთარი არსებობისა და ძალაუფლების ფუნდამენტური საფრთხის ქვეშ დაყენების ეშინია. სახელმწიფოს სიკვდილი ორ ძირითად სცენარამდე დაიყვანება: ა) სხვა სახელმწიფოს მიერ მისი დაპყრობა ან ბ) რევოლუციით მთავრობის გადაგდება. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს „სიკვდილს" ან ომი იწვევს, ან — რევოლუცია. ომი და რევოლუცია, როგორც ორი ძირითადი საფრთხე, მმართველებში აღძრავს სურვილს, მაქსიმალური ძალისხმევა დაახარჯონ ხალხში პროპაგანდის გავრცელებას. როგორც ზემოთ ვთქვით, ხალხის მობილიზების აუცილებელი წინაპირობა იმის რწმენაა, რომ ამით ის [ხალხი] საკუთარ თავს იცავს. ამ იდეის სიმცდარე მაშინვე ცხადი ხდება, როგორც კი ადამიანი უარს ამბობს საკუთარი თავის „დაცვაზე" და მას, სურვილის საწინააღმდეგოდ, სამხედრო სამსახურში უკრავენ თავს: აღნიშვნაც კი არ სჭირდება იმას, რომ „საკუთარივე" სახელმწიფოს ამ ქმედების თავიდან ასარიდებლად არანაირი თავდაცვის მექანიზმი არ არსებობს.

ომის დროს სახელმწიფოს ძალაუფლება მაქსიმალურად იზრდება და „თავდაცვისა" და „საგანგებო სიტუაციის" იარლიყების ქვეშ ისეთი ტირანია მყარდება, როგორსაც მშვიდობიანობის ჟამს საზოგადოება აქტიურად შეეწინააღმდეგებოდა. შესაბამისად, ომი სახელმწიფოს მრავალი უპირატესობით ამარაგებს და მართლაც, ყველა თანამედროვე ომმა სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებაზე კიდევ უფრო გაზრდილი ზეწოლა დაგვიტოვა. ამავე დროს,

ომი სახელმწიფოს მაცდუნებელ შესაძლებლობად ევლინება, დაიპყროს ახალი მიწა, რომელზეც ძალადობის მონოპოლია ექნება. რენდოლფ ბორნი მართალი იყო, როცა წერდა, რომ „ომი სახელმწიფოს ჯანმრთელობის წყაროა“, თუმცა ცალკე აღებულ სახელმწიფოს ომი ან დღეგრძელობას მოუტანს, ან სასიკვდილო დარტყმას მიაყენებს.[40]

შეგვიძლია ეს ჰიპოთეზა, რომ სახელმწიფო უმეტესად საკუთარ თავს იცავს და არა მოქალაქეებს, ამ კითხვით გადავამოწმოთ: რომელი ტიპის კრიმინალს ეძებს და სჯის სახელმწიფო ყველაზე მეტად — მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილს თუ საკუთარი თავის წინააღმდეგ განხორციელებულს? სახელმწიფოს ლექსიკონში ყველაზე „მომაკვდინებელი“ დანაშაულები ის დანაშაულები კი არაა, რომლებიც ადამიანს ან საკუთრებას უკავშირდება, არამედ ისინი, რომლებიც სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. მაგალითად, სახელმწიფო ღალატი, მტრის მხარეს გადასვლა, დეზერტირობა, გაწვევისაგან თავის არიდება, შეთქმულების წამოწყება ან მასში მონაწილეობა, მმართველის მკვლელობა და ისეთი ეკონომიკური დანაშაულები, როგორებიცაა ფულის გაყალბება ან გადასახადებისათვის თავის არიდება.

[40] ჩვენ უკვე ვიხილეთ, რომ სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია ინტელექტუალების მხარდაჭერა, მათ შორის, მხარდაჭერა ამ ორი შედარებით მნიშვნელოვანი საფრთხის არიდებაში. პირველ მსოფლიო ომში ამერიკის ჩართვის საკითხში ამერიკელი ინტელექტუალების როლზე ნახეთ Randolph Bourne, The War and the Intellectuals, The History of a Literary Radical and Other Papers, New York: S.A. Russell, 1956, pp. 205–222. როგორც ბორნი აცხადებს, მთავრობისთვის სასარგებლო მხარდაჭერის მოსახვეჭად ინტელექტუალების ხშირად გამოყენებული იარაღი ნებისმიერი დისკუსიის ძირითადი სახელმწიფო პოლიტიკის საზღვრებში მოქცევაა. ამ საბაზისო ჩარჩოების ნებისმიერი ფუნდამენტური თუ სრული კრიტიკა კი ინტელექტუალებისაგან წახალისებას ვერასდროს დაიმსახურებს.

შეადარეთ გულმოდგინება, რომლითაც სახელმწიფო პასუხს აგებინებს პოლიციელისთვის შეურაცხყოფის მიმყენებელს და ადამიანს, რომელმაც ჩვეულებრივ მოქალაქეს მიაყენა შეურაცხყოფა. მიუხედავად ამისა, პარადოქსია, თუ რამდენად ცოტა ადამიანი ხედავს, რომ სახელმწიფოს გაცხადებული პრიორიტეტი — საკუთარი თავის დაცვა ჩვეულებრივი მოქალაქეების დაცვას ამჯობინოს — მისივე დანიშნულებას ეწინააღმდეგება.[41]

[41] როგორც მენკენი ამბობს შეუდარებელი ფორმით: „ამ ბანდას („ექსპლუატატორებს, რომლებითაც დაკომპლექტებულია მთავრობა“) დასჯის მიმართ, ფაქტობრივად, იმუნიტეტი აქვთ. მათ გამომძალველ ქმედებებს, მაშინაც კი, თუ მიზანი აშკარად პირადი გამორჩენაა, ჩვენი კანონების პირობებში არანაირი კონკრეტული სასჯელი არ მოჰყვება. რესპუბლიკის პირველი დღეებიდან მოყოლებული, მთავრობის ერთეული წევრები თუ გამხდარან იმპიჩმენტის ობიექტები და მათგან მხოლოდ ცალკეული უმნიშვნელო პირები თუ აღმოჩენილან ციხეში. იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც იმიტომ სხედან ატლანტასა და ლივენვორტში, რომ ხელისუფლების მხრიდან შევიწროებას აუმხედრდნენ, ყოველთვის ათჯერ უფრო მეტია, ვიდრე მთავრობის იმ წარმომადგენელთა რაოდენობა, რომლებიც საკუთარი მიზნებისათვის გადასახადების გადამხდელთა შევიწროებისათვის დასჯილან“. (Henry L. Mencken, A Mencken Chrestomathy, pp. 147–148). იხილე ასევე „მცველი“ სახელმწიფოს მხრიდან თავისუფლების შელახვის პირობებში რიგითი ინდივიდის უსუსურობის ცოცხალი და სახალისო აღწერა Henry L. Mencken, The Nature of Liberty, in Prejudices: A Selection, New York: Vintage Books, 1958, pp. 138–143.

როგორი ურთიერთობა აქვთ სახელმწიფოებს ერთმანეთთან

რაკი დედამიწის ტერიტორია სხვადასხვა სახელმწიფოს შორის არის დანაწილებული, საერთაშორისო ურთიერთობის დალაგება სახელმწიფოს დროისა და ენერგიის დიდ ნაწილს მოითხოვს. საკუთარი ძალების გაფართოების ბუნებრივი ტენდენცია გარეგნულად, როგორც წესი, სხვა ტერიტორიის დაპყრობით გამოიხატება. თუ ეს ტერიტორია დაუსახლებელი ან არავისთვის მიკუთვნებული არაა, ნებისმიერი ასეთი ექსპანსია, ბუნებრივია, ამ ქვეყნების მმართველებს შორის ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. ერთ ტერიტორიაზე ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ერთ მმართველს შეუძლია ძალადობის მონოპოლია ჰქონდეს: X მთავრობას მხოლოდ მაშინ შეუძლია ტერიტორიაზე სრული ძალაუფლება გაავრცელოს, თუ Y მთავრობას განაგდებს. ომი, მიუხედავად იმისა, რომ რისკიანია, სახელმწიფოსთვის მუდმივად დამახასიათებელი ტენდენციაა, რომელსაც დროდადრო არღვევს მშვიდობიანი პერიოდები ან სახელმწიფოებს შორის ალიანსებისა და კოალიციების შემადგენლობის მონაცვლეობა.

როგორც უკვე განვიხილეთ, „შინაგანმა“ თუ „საშინაო“ მცდელობებმა, სახელმწიფოს გავლენა შეემცირებინა, XVII-XIX საუკუნეებში ყველაზე აღსანიშნავი სახე კონსტიტუ-

ციონალიზმის ფორმით მიიღო. „საგარეო“ ნაწილში მის ეკვივალენტად კი „საერთაშორისო სამართლის“ ჩამოყალიბება შეგვიძლია მივიჩნიოთ, განსაკუთრებით ისეთ ფორმებში, როგორებიცაა „ომის სამართალი“ და „ნეიტრალური ქვეყნების უფლებები“.[42]

საერთაშორისო სამართლის კონკრეტული ელემენტები თავიდან წმინდად კერძო იყო. მისი წარმოშობის საჭიროება შექმნეს ვაჭრებმა, რომელთაც სურდათ, საკუთარი საქონელი დაეცვათ და დავები ცივილიზებულად გადაეწყვიტათ. ამის საუკეთესო მაგალითებია საზღვაო სამართალი და კომერციული სამართალი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რაიმე საერთაშორისო სუპერსახელმწიფოს არ შემოუღია, საერთაშორისო სამართალში ხელისუფლებასთან დაკავშირებული კანონები მაინც გაჩნდა. „ომის სამართლის“ მიზანი იყო, ქვეყნებსშორისი დესტრუქცია მხოლოდ ხელისუფლების ორგანოებზე გავრცელებულიყო და, შესაბამისად, გადაერჩინა უდანაშაულო სამოქალაქო მოსახლეობა მკვლელობებისა და ომის თანმდევი საშინელებებისაგან. ნეიტრალური ქვეყნების შესახებ კანონის მიზანი იყო, კერძო სამოქალაქო ვაჭრობა საზღვრებს გარეთ, მათ შორის, „მტერ“ ქვეყნებთან, ომში ჩაბმული ქვეყნების მხრიდან კონფისკაციისაგან დაეცვა. ამგვარად, საერთო მიზანი იყო, ომის მასშტაბები შეზღუდულიყო, უფრო კონკრეტულად კი, ნეიტრალური, ან თუნდაც ომში ჩაბმული ქვეყნების მაცხოვრებლებზე ომის დამანგრეველი ეფექტი შემცირებულიყო.

---

[42] ეს არ უნდა აგვერიოს თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, რომელიც აქცენტს ომის ფარგლების მაქსიმალურ გაფართოებაზე აკეთებს, ისეთი კონცეფციების გამოყენებით, როგორიცაა „კოლექტიური უსაფრთხოება“.

სამართალმცოდნე ფ.ჯ.პ ვილი შესანიშნავად აღწერს „ცივილიზებულ ომს“, როცა XV საუკუნის იტალიაზე წერს: *„შუა საუკუნეების იტალიის მდიდარი მოქალაქეები და ვაჭრები ზედმეტად დაკავებულები იყვნენ ფულის კეთებითა და ცხოვრებით ტკბობით, რომ ჯარისკაცობის სირთულეები და საფრთხეები გამოეცადათ. ასე რომ, ისინი მეომრებს ქირაობდნენ, რომლებიც მათ ნაცვლად იბრძოდნენ. რადგან ვაჭრები საქმიანი ადამიანებისათვის დამახასიათებელი სიძუნწით უდგებოდნენ საკითხს, დაქირავებულ ჯარისკაცებს მაშინვე ითხოვდნენ, როგორც კი მათი სერვისის საჭიროება ქრებოდა. შესაბამისად, ომში მხოლოდ კონკრეტული სამხედრო კამპანიისთვის დაქირავებული არმიები იბრძოდნენ... ისტორიაში პირველად, ჯარისკაცობა გონივრული და მეტ-ნაკლებად „უწყინარი“ პროფესია გახდა. იმ პერიოდის გენერლები ერთმანეთის წინააღმდეგ ოსტატურად მანევრირებდნენ, მაგრამ როცა ერთი მათგანი დაწინაურდებოდა, ოპონენტი, როგორც წესი, ან უკან იხევდა, ან ნებდებოდა. აღიარებული წესი იყო, რომ მხოლოდ იმ ქალაქს ძარცვავდნენ, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა გამარჯვებულ მხარეს: იმუნიტეტის ყიდვა კი ყოველთვის შეიძლებოდა გამოსასყიდის გადახდით... ბუნებრივია, რომ ქალაქები, როგორც წესი, წინააღმდეგობას არ უწევდნენ მტერს. იგულისხმებოდა, რომ ხელისუფლება, რომელიც ზედმეტად სუსტი იყო მოქალაქეების დასაცავად, ნდობას კარგავდა. მოქალაქეებს ომის შიში ნაკლებად ჰქონდათ, რადგან ეს პროფესიონალი ჯარისკაცების საქმე იყო“.*[43]

---

[43] F.J.P. Veale, Advance to Barbarism (Appleton, Wis.: C.C. Nelson, 1953), p. 63. ანალოგიურად, პროფესორი ნეფი განიხილავს იტალიაში გაღვივებულ დონ

XVIII საუკუნის ევროპაში სახელმწიფოებს შორის ომისაგან კერძო მოქალაქეების, ფაქტობრივად, სრულ განცალკევებაზე საუბრობს ნეფიც: *„საფოსტო კომუნიკაციებიც კი არ იყო სრულად შეზღუდული ომის დროს: წერილები ცენზურის გარეშე ცირკულირებდა და თავისუფლების ის ხარისხი არსებობდა, რომელიც XX საუკუნის ადამიანს გააოგნებს. ორი დაპირისპირებული ქვეყნის მოქალაქეები ერთმანეთთან გადაყრის შემთხვევაში მშვიდად საუბრობდნენ, ან წერილებს ცვლიდნენ არა როგორც მტრები, არამედ, როგორც მეგობრები.*

თანამედროვე გაგება, რომ დაპირისპირებული ქვეყნების მოქალაქეები ნაწილობრივ პასუხისმგებლები არიან თავიანთი მმართველების აგრესიულ ქმედებებზე… თითქმის არ არსებობდა. ომში ჩართულ მმართველებს, როგორც წესი, აზრადაც არ მოსდიოდათ, თავიანთი მოქალაქეებისათვის მტერთან კომუნიკაციის დაშლა. ჯაშუშობის ინკვიზიტორული პრაქტიკა, რომელიც კავშირში იყო

კარლოსის ომს (XVIII საუკუნე), რომელშიც საფრანგეთი, ესპანეთი და სარდინია ავსტრიას უპირისპირდებოდნენ: „მოკავშირეების მხრიდან მილანის ალყისას და რამდენიმე კვირის შემდეგ პარმაში… დაპირისპირებული მხარეები დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს ქალაქის საზღვრებს გარეთ. არც ერთ ამ შემთხვევაში მაცხოვრებლების სიმპატიები არც ერთ და არც მეორე მხარეს არ გადახრილა. მათ მხოლოდ იმის ეშინოდათ, რომ რომელიმე არმიის ჯარისკაცები გალავანს გადალახავდნენ და ქალაქის ძარცვას დაიწყებდნენ. შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. პარმაში მოქალაქეები ქალაქის კედლებს აწყდებოდნენ, რათა ქვემოთ გადაშლილ ველზე საომარი მოქმედებებისათვის ეყურებინათ". (John U. Nef, War and Human Progress, Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1950, p. 158). ასევე იხილეთ.: Hoffman Nickerson, Can We Limit War? New York: Frederick A. Stoke, 1934.

აღმსარებლობასა და რწმენასთან, ნელ-ნელა ქრებოდა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით კი მსგავსი ინკვიზიცია არავის უფიქრია. პასპორტები თავიდან იმისთვის შეიქმნა, რომ ომის პერიოდში მშვიდობიანი გადაადგილება უზრუნველეყო. მეთვრამეტე საუკუნის უდიდეს ნაწილში ევროპელებს არც უფიქრიათ, რომ იმ უცხო ქვეყანაში მგზავრობა შეეწყვიტათ, რომელსაც მათი ქვეყანა ეომებოდა“.[44]

იმ ფონზე, რომ ვაჭრობა უფრო და უფრო მეტად მიიჩნეოდა ორივე მხარისთვის სასარგებლო საქმიანობად, მეთვრამეტე საუკუნის საომარი მდგომარეობები „მტერთან ვაჭრობის“ ანგარიშგასაწევი შემთხვევებით ბალანსდებოდა.[45]

საჭირო არაა იმის დეტალურად ახსნა, რამდენად შორს გასცდნენ ამ [XX] საუკუნეში სახელმწიფოები ცივილიზებული საომარი მოქმედებების ჩარჩოებს. საყოველთაო ომის თანამედროვე ეპოქაში, სადაც მასობრივი განადგურების ტექნოლოგიები არსებობს, მხოლოდ სახელმწიფო აპარატების დონეზე ომის შეზღუდვა ისეთივე უცნაური და მოძველებული იდეა ჩანს, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატების თავდაპირველი კონსტიტუცია.

როცა სახელმწიფოები არ ომობენ, საჭირო ხდება ხელშეკრულებების დადება, რათა კონფლიქტები მინიმუმამდე დავიდეს. ერთ-ერთი ასეთი დოქტრინა,

---

[44] Nef, War and Human Progress, p. 162.

[45] Ibid., p. 161. ამერიკული რევოლუციის ლიდერების მხრიდან მტრებთან ვაჭრობის ადვოკატირებისათვის ნახეთ Joseph Dorfman, The Economic Mind in American Civilization, New York: Viking Press, 1946, vol. 1, pp. 210–211.

რომელმაც გასაოცრად დიდი პოპულარობა მოიპოვა, ე.წ. „საერთაშორისო ხელშეკრულებების სიწმინდეა“. ამ კონცეფციას ისე ექცევიან, როგორც „კონტრაქტის სიწმინდის“ ანალოგს, თუმცა საერთაშორისო ხელშეკრულებასა და რეალურ კონტრაქტს არაფერი აქვთ საერთო. კონტრაქტით ერთი მხარე მეორეს ზუსტი ფორმით გადასცემს უფლებას კერძო საკუთრებაზე. მაგალითისთვის, თუ მისტერ ჯოუნსი თავის მიწას მისტერ სმითს გადასცემს ან მიჰყიდის, ჯოუნსის შთამომავალი ამ მიწაზე უფლებას ლეგიტიმურად ვეღარ განაცხადებს. საკუთრების უფლება უკვე გადაცემულია. უფროსი ჯოუნსის კონტრაქტი ავტომატურად გავრცელდება ახალგაზრდა ჯოუნსებზე, რადგან წინაპარმა უკვე გაასხვისა საკუთრება, შესაბამისად, ახალგაზრდა ჯოუნსებს აღარ ექნებათ საკუთრება, რომელსაც თავისად ჩათვლიდნენ. ახალგაზრდა ჯოუნსებს მხოლოდ ის მიწა შერჩებათ, რომელსაც უფროსისაგან მემკვიდრეობით მიიღებენ, უფროს ჯოუნსს კი მხოლოდ იმ მიწის დატოვება შეეძლება შთამომავლობისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ ფლობს.

განსხვავებული სიტუაცია შეიქმნება, თუ რაიმე კონკრეტულ დროს „რურიტანიის“ მთავრობა იძულებით, ან თუნდაც ფულის სანაცვლოდ დაუთმობს „ვალდავიის“ მთავრობას მიწის ნაწილს. აბსურდულია იმის მტკიცება, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების სიწმინდის პრინციპების თანახმად, ამ ორი ქვეყნის მთავრობები ან მაცხოვრებლები სამუდამოდ დაკარგავენ შანსს, რომ „რურიტანიის“ გაერთიანება მოითხოვონ. არც მიწა და არც მასზე მცხოვრები ხალხი ამ ორიდან არც ერთ მთავრობას არ ეკუთვნის.

შესაბამისად, ერთ მთავრობას არ შეუძლია წარსულის „მკვდარი ხელით“ შემდგომ მთავრობაზე საერთაშორისო შეთანხმება გაავრცელოს. „რურიტანიის“ რევოლუციურ მთავრობას, რომელიც „რურიტანიის“ მეფეს გადააგდებს, შეუძლია თავიდან აირიდოს მეფის ქმედებებსა თუ ვალებზე პასუხისმგებლობის აღება, რადგან ასეთი მთავრობა წინამორბედის მემკვიდრედ ვერ ჩაითვლება.

ისტორია, როგორც მუდმივი შეჯიბრი სახელმწიფო და სოციალურ ძალაუფლებას შორის

ადამიანებს შორის დამოკიდებულების ორი ძირითადი ფორმა არსებობს — მშვიდობიანი თანამშრომლობა და ძალადობრივი ექსპლუატაცია, წარმოება და მიტაცება. ზუსტად ასევე, კაცობრიობის ისტორია, უფრო კონკრეტულად კი, ეკონომიკური ისტორია შეიძლება ამ ორ პრინციპს შორის შეჯიბრად განვიხილოთ. ერთ მხარეს გვაქვს კრეატიული პროდუქტიულობა, მშვიდობიანი გაცვლა და კოოპერაცია, მეორე მხარეს კი — ძალადობრივი დიქტატი და ამ სოციალური კავშირების მიმართ მტაცებლური ინტერესი.

ალბერტ ჯეი ნოკმა ამ დაპირისპირებულ ძალებს „სოციალური ძალაუფლება“ და „სახელმწიფო ძალაუფლება“ უწოდა.[46] სოციალური ძალაუფლება არის ადამიანის ძალაუფლება ბუნებაზე, თანამშრომლობა ბუნების მოცემული რესურსების ტრანსფორმაციისათვის და მისი

[46] „სოციალური ძალაუფლებისა“ და „სახელმწიფო ძალაუფლების“ კონცეფციებზე დეტალურად იხილეთ Albert J. Nock, Our Enemy the State, Caldwell, Idaho: Caxton Printers, 1946. ასევე ნახეთ Albert J. Nock, Memoirs of a Superfluous Man, New York: Harpers, 1943, და Frank Chodorov, The Rise and Fall of Society, New York: Devin-Adair, 1959.

კანონების ჩაწვდომა ყველა მონაწილე ინდივიდის სასარგებლოდ. სოციალური ძალაუფლება არის ძალაუფლება ბუნებაზე, გამოხატული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში, რომლებიც ადამიანის მიერ შეთანხმებული გაცვლით მიიღწევა. სახელმწიფო ძალაუფლება, როგორც უკვე ვნახეთ, წარმოების ძალადობრივი და პარაზიტული მიტაცებაა — საზოგადოების დოვლათის გალევა არაპროდუქტიული (უფრო სწორად კი, კონტრპროდუქ-ტიული) მმართველების სასარგებლოდ. თუ სოციალური ძალაუფლება ბუნებაზე გაბატონებაა, სახელმწიფო ძალაუფლება არის ძალაუფლება ადამიანზე. საუკუნეების განმავლობაში ადამიანის პროდუქტიულმა და კრეატიულმა ძალებმა ახალი გზები გაკვალა, რათა ბუნება კაცობრიობის სასარგებლოდ შეეცვალა. ეს იყო დრო, როცა სოციალური ძალაუფლება სახელმწიფო ძალაუფლებას ბევრად უსწრებდა წინ და სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ხელყოფა ბევრად იშვიათად ხდებოდა. თუმცა ყოველთვის, დიდი ან მცირე დროის გასვლის შემდეგ, სახელმწიფო ამ ახალ ტერიტორიებზეც აღწევდა, რათა სოციალური ძალაუფლე-ბისათვის ან ხელ-ფეხი შეეკრა, ან დაემონებინა.[47] თუკი XVII-XIX საუკუნეები დასავლეთის მრავალი ქვეყნისათვის

---

[47] მუდმივად გაფართოების და შევიწროების ზღვარზე მყოფი სახელმწიფო აქტიურად ზრუნავს იმაზე, რომ ეკონომიკაში თუ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სხვა სფეროებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი „სამართავი ინსტრუმენტები“ მოიპოვოს და შეინარჩუნოს. ამ სამართავ ინსტრუმენტებს შორის არის მონოპოლია ძალის გამოყენებაზე, მონოპოლია უმაღლეს იურიდიულ ძალაუფლებაზე, კომუნიკაციის არხები და ტრანსპორტი (ფოსტა, გზები, მდინარეები, დამაკავშირებელი პუნქტები), აღმოსავლური დესპოტიზმის შემთხვევაში — სარწყავი სისტემა; და განათლება, რათა მომავალი მოქალაქეების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე ჰქონდეს გავლენა. თანამედროვე ეკონომიკაში, ფულის მიმოცვლა ასეთივე კრიტიკული სამართავი ინსტრუმენტია.

სოციალური ძალაუფლების აღზევების ერა იყო, რასაც თან სდევდა თავისუფლების, მატერიალური კეთილდღეობის თუ მშვიდობის ზრდა, XX საუკუნე იმ პერიოდად შეგვიძლია ჩავთვალოთ, როცა სახელმწიფოს ძალაუფლება ისევ წინ გაიჭრა, რამაც ბუნებრივად მიგვაბრუნა მონობასთან, ომთან და დესტრუქციასთან.[48]

ამ საუკუნეში ადამიანთა მოდგმა კვლავაც შეეჩეხა სახელმწიფოს მომაკვდინებელ აღზევებას — სახელმწიფოები კაცობრიობის კრეატიული ძალების ნაყოფით შეიარაღდნენ და წლების განმავლობაში ნაგროვები ცოდნა, კონფისკაციის გზით სახელმწიფოს მიზნების სამსახურში ჩააყენეს. ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მოქალაქეების მცდელობა, სახელმწიფოსთვის კონსტიტუციური ან რაიმე სხვა ტიპის საზღვრები დაეწესებინათ, სრული კრახით სრულდებოდა. საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ მთავრობის უამრავ ფორმას, მარეგულირებელ კონცეფციებსა თუ ინსტიტუტებს შორის, ვერცერთი აღმოჩნდა სახელმწიფოს „შეკავებაში" წარმატებული. ცხადია, რომ დღეს, სახელმწიფოს პრობლემის გადაჭრისგან ჩვენ ისე შორს ვართ, როგორც არასდროს. ამიტომ, ალბათ, საჭიროა კვლევის ახალი გზების გამოძებნა, თუკი გვსურს, რომ სახელმწიფოს საკითხი ოდესმე საბოლოოდ და წარმატებით იყოს გადაწყვეტილი.[49]

---

[48] ამ „წამოწევის" პარაზიტულ პროცესს თითქმის ღიად უჭერდა მხარს კარლ მარქსი, რომელიც მიიჩნევდა, რომ სოციალიზმი კაპიტალიზმის ქვეშ *წინსწარ დაგროვილი* კაპიტალის წართმევის შედეგად უნდა დამყარებულიყო.

[49] რა თქმა უნდა, ამ გამოსავლის ერთ-ერთი შეუცვლელი ინგრედიენტი ინტელექტუალებსა და სახელმწიფოს შორის ალიანსის მოშლაა, რასაც ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი კვლევისა და განათლების ცენტრების

შექმნა სჭირდება. კრისტოფერ დაუსონი აღნიშნავს, რომ დიდი ინტელექტუალური მოძრაობები, როგორებიცაა რენესანსი და განმანათლებლობა, აღიარებული უნივერსიტეტების მიღმა, ხანდახან კი — მათ საპირისპიროდ მუშაობით შეიქმნა. ეს, ახალი იდეების გამავრცელებელი საზოგადოებები, კერძო მფარველების წყალობით გაჩნდნენ და განვითარდნენ. დეტალურად იხილეთ Christopher Dawson, The Crisis of Western Education, New York: Sheed and Ward, 1961.

ამ პატარა, თუმცა მნიშვნელობით დიდი წიგნის დახვეწაში ძალიან დაგვეხმარა გიორგი ჭაუჭიძის, დიმიტრი შავიშვილის, გიორგი სიბაშვილის, ლაშა ივანაურისა და ლალი ანთიძის ღირებული შენიშვნები, რამაც თარგმანი საგრძნობად გააუმჯობესა.

განსაკუთრებული მადლობა კი ეკუთვნის იმ ადამიანებს, რომელმაც წიგნის თარგმნისთვის საჭირო ფინანსები არ დაიშურა, და ლაშა ხვიჩიას, რომლის დახმარებითაც წიგნის დაბეჭდვა შევძელით.